პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეჩრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

ოთხშაბათი, 8 ივნისი, 1949 წ. № 113 (8416). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავი, საზეიმო სხდომა სსრ კავშირის დიდ თეატრში. (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
ს. გრატიაშვილი — დროულად და ზუსტად აღვრიცხოთ ნათესი
ფართობები (მე-3 გვერდი).
ალიო ადამია — ცხოვრება ახალ მიწაზე (მე-3 გვერდი).
ცეკავშირის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის (მე-3 გვერდი).
ტატიანა ვეჩესლოვას გასტროლები (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები. (მე-4 გვერდი).

პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი

პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობას პირველ რიგში მისი მდივანი, მისი მდივანი წარმართავს. იყო პარტიული ორგანიზაციის მდივანი—ეს იმას ნიშნავს, რომ იყო ჩვენი პარტიის სახელმოწვეული ადამიანი, კომუნიზმის მშენებელთა ავანგარდის—ბოლშევიკური პარტიის ნდობით აღჭურვილი.

პარტიულ მასას სურს მდივნის სახით ხედავდეს ავტორიტეტულ, ინიციატივიან, ნიჭიერ ორგანიზატორს. იგი მოითხოვს, რომ მდივანი დროულად და სწორად მართავდეს მის ძალებს, დაკავშირებული იყოს მასასთან, გრძნობდეს პასუხისმგებლობას კომუნისტებისა და ხალხის წინაშე, ხელმძღვანელობდეს და ეხმარებოდეს მათ.

კომუნისტების ნამდვილი წინამძღოლობა მის ხელმძღვანელს მხოლოდ მაშინ შეუძლია განახორციელოს, თუ ის პასუხისმგებლობით ეკიდება მინდობილ საქმეს, ყურს უგდებს მასების მოთხოვნებს, სათავეში უდგას ძლრომელთა პოლიტიკურ აქტივობას, თუით არის მოწინავე და რაზმავს მასებს პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის საბრძოლველად.

სწორი ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა მოითხოვს ზუსტად და მოკრძალებულად გამოვიყენოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ნაცადი მეთოდები.

პარტიული კრების მომზადებასა და მაღალ იდეურ დონეზე ჩატარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთელი შინაპარტიული მუშაობის კარგად მოწყობაში. არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე პარტიულ დავალებათა შერჩევა-განაწილება, კომუნისტებთან ინდივიდუალური მუშაობის პრაქტიკის გაღრმავება, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაბედულად გამოყენება და გადაწყვეტილებათა შესრულების დროულად შემოწმება.

ლენინ-სტალინის ძღვნამოსილი იდეები ყოველთვის იყო და არის ჩვენი პარტიის სახელოვნი გამარჯვებების უწრეტი წყარო. ეს კარგად ესმით ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს. აბტომობა, რომ ისინი დიდ და სერიოზულ მუშაობას ეწევიან მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდისათვის.

განსაკუთრებით დიდია პარტიული ორგანიზაციების როლი ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის მშრომელები თავდადებით იბრძვიან დიდი სტალინური გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, როცა მრეწველობისა და საკოლმეურნეო სოფლის პარტიული ორგანიზაციების შეუნელებელსა და ქმედით ორგანიზატორულ მუშაობაზე, მათს ავანგარდულსა და მაორგანიზებელ როლზე ღიდად არის დამოკიდებული ამ გეგმების წარმატებით განხორციელება.

ჩვენი რესპუბლიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარებიდან უკვე საკმაო დრო გავიდა. ეს პერიოდი საესებით საკმარისია იმისათვის, რომ ზოგიერთი დასკვნა გავაკეთოთ ცალკეული პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკიდან, ვილაპარაკოთ მათი ხელმძღვანელების ორგანიზატორულ უნარსა და საქმისადმი სიყვარულზე.

აღსანიშნავია თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის პარტიული ბიუროს მდივნის ამხ. კ. გოგლაძის მუშაობა, რომელმაც პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობისას მთელ თავის საქმიანობას საფუძვლად დაუდო საანგარიშო-საარჩევნო კრების მითითებანი და გადაწყვეტილება. ამ ქარხანაში პარტიულ კრებას ყოველთვის გულმოდგინედ ამზადებენ. კრების განსახილველად პარტორგანიზაციის მდივანი აქტივთან ერთად არჩევს და ამზადებს საინტერესო და აქტუალურ საკითხებს, იმუშავებს ღონისძიებებს. ამიტომაც კრებები აქ ყოველთვის მაღალ იდეურ დონეზე ტარდება და მიღებული დადგენილებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საქმეზე. მდივანს მარტო როდი უნდება პარტიული ცხოვრების მრავალფეროვანი საკითხების ხელმძღვანელობა, მან შეძლო პარტიული ბიურო გადაიქცია კოლექტიური ხელმძღვანელობის ნამდვილ ორგანოდ. საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა თანმიმდევრულად და ზუსტად განხორციელებისათვის ბრძოლას შედეგად მოჰყვა პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება. გაიზარდა კომუნისტთა შეგნებულობა და ავანგარდული როლი. კომუნისტები დაეწაფნენ ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის შესწავლას, გაუმჯობესდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რამაც თავისი დადებითი გავლენა იქონია ქარხნის მთელი კოლექტივის მიერ სახელმწიფო დავალებათა ვადამდე და მაღალი ხარისხით შესრულებაზე. ქარხანა სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს და დამსახურებულად დგას რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა რიგებში.

დაზგის მუშაობაში აღმოჩენილი დეფექტების აღმოფხვრის გარდა, ლაბორატორიის დანიშნულებაა გამოარკვიოს — რა სახის ქსოვილების ქსოვა შეიძლება ეკონომიურად ამ დაზგაზე, შეიმუშაოს ცხრილი დაზგის მუხლაღლვის ბრუნვის იმ სიჩქარისა, რაც საჭიროა ამა თუ იმ სახის ქსოვილის ქსოვისს, დაადგინოს იმ ნაწილების ამორტიზაციის ვადები, რომლებიც ჩქარა ცვდებიან, დაუსტაოს დაზგის წარმადობა ქსოვილების სახეების მიხედვით და სხვ.

ამ საკითხების შესწავლის გარდა, ლაბორატორია შემდგომ გაუმჯობესებას შეიტანს დაზგის კონსტრუქციაში.

ამწყობ-ზენეკალ ვ. ტოკაშვილის წინადადებით უკვე ხორციელდება ერთ-ერთ საღაზგე კვანძში ზამბარის შეცვლა, რაც ამარტივებს ამ დეტალს და აადვილებს მის წარმოებას.

სამსხმელო-მექანიკური ქარხნის გაუჯართოება

მეორე წელია, რაც თბილისში არსებობს შრომითი რეზერვების სამმართველოს სისტემის სასხმელო-მექანიკური ქარხანა. იგი შეიქმნა მესამე სახელოსნო სასწავლებლის ბაზაზე და იქ საწარმოო პრაქტიკას გადიან ამავე სასწავლებლის მსმენელები. სხვა სახის პროდუქციასთან ერთად ქარხანა მასობრივად ამზადებს უნივერსალურ ხრახნმჭრელ ფაზას, რომელიც განკუთვნილია ყოველგვარი სახარატო სამუშაოსათვის.

ქარხანა დღითიდღე ფართოვდება და იზრდება. ამ უკანასკნელ დროს აქ აშენდა ახალი სამჭედლო საამქრო, რომელშიაც გამართეს ელექტრო-თერმული ღუმელი, სადაც ხდება სადაზგე დეტალების თერმული დამუშავება. აქვე მოეწყო ლითონის ცივადმჭრელი ხერხი, რაც დიდად ამცირებს ლითონის ჭრის შრომატევად პროცესს, რასაც წინად ლითონის გახურების გზით
რომოი აწარმოებდნენ.

მექანიკურ-საამწყობო საამქროსთვის ამკამად ქარხანასთან შენდება ახალი კორპუსი, სადაც დაიდგმება უახლესი კონსტრუქციის სახარატო, სარანდავი, საღარავი და საბურღავი დაზგები.

კულგურის კერები სოფლად

დუშეთი. (საკ. კორ.). მიმდინარე წელს მაღალმთიან სოფელ ჩიხში, ძველოსეთში და ბაზალეთში გაიხსნა სასოფლო კლუბები. კლუბის შენობები კოლმეურნეობებმა საკუთარი სახსრებით ააგეს.

ახალი სასოფლო ბიბლიოთეკა გაიხსნა სოფელ მუგადიჯვარში.

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★ ★

ახალი ღაბორატორია

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში მოაწყეს ლაბორატორია, რომელშიც დადგმულია ქარხნის მიერ წელს თვისებული გაუმჯობესებული კონსტრუქციის ორმაკოიანი ბრეშუმ-საქსოვი დაზგა. ლაბორატორიის ხელმძღვანელობს ფეიქარი, ინჟინერ-ტე:. ნოლოგი მ. ბარხაბიშვილი, რომელიც ქარხნის მთავარ ინჟინერ ა. გიორგაძესთან, მთავარ კონსტრუქტორ ვ. კოზლოვსკისთან, საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროს მ. ქუბლაშვილსა და ამწყობზეინკალ ვ. ტოკაშვილთან ერთად ქსოვის პროცესში აწარმოებს დაზგის მუშაობაზე დაკვირვებას და აზუსტებს მის საექსპლოატაციო თვისებებს.

დაზგის მუშაობაში აღმოჩენილი დეფექტების აღმოფხვრის გარდა, ლაბორატორიის დანიშნულებაა გამოარკვიოს — რა სახის ქსოვილების ქსოვა შეიძლება ეკონომიურად ამ დაზგაზე, შეიმუშაოს ცხრილი დაზგის მუხლაღლვის ბრუნვის იმ სიჩქარისა, რაც საჭიროა ამა თუ იმ სახის ქსოვილის ქსოვისს, დაადგინოს იმ ნაწილების ამორტიზაციის ვადები, რომლებიც ჩქარა ცვდებიან, დაუსტაოს დაზგის წარმადობა ქსოვილების სახეების მიხედვით და სხვ.

ამ საკითხების შესწავლის გარდა, ლაბორატორია შემდგომ გაუმჯობესებას შეიტანს დაზგის კონსტრუქციაში.

ამწყობ-ზენეკალ ვ. ტოკაშვილის წინადადებით უკვე ხორციელდება ერთ-ერთ საღაზგე კვანძში ზამბარის შეცვლა, რაც ამარტივებს ამ დეტალს და აადვილებს მის წარმოებას.

სამსხმელო-მექანიკური ქარხნის გაუჯართოება

მეორე წელია, რაც თბილისში არსებობს შრომითი რეზერვების სამმართველოს სისტემის სასხმელო-მექანიკური ქარხანა. იგი შეიქმნა მესამე სახელოსნო სასწავლებლის ბაზაზე და იქ საწარმოო პრაქტიკას გადიან ამავე სასწავლებლის მსმენელები. სხვა სახის პროდუქციასთან ერთად ქარხანა მასობრივად ამზადებს უნივერსალურ ხრახნმჭრელ ფაზას, რომელიც განკუთვნილია ყოველგვარი სახარატო სამუშაოსათვის.

ქარხანა დღითიდღე ფართოვდება და იზრდება. ამ უკანასკნელ დროს აქ აშენდა ახალი სამჭედლო საამქრო, რომელშიაც გამართეს ელექტრო-თერმული ღუმელი, სადაც ხდება სადაზგე დეტალების თერმული დამუშავება. აქვე მოეწყო ლითონის ცივადმჭრელი ხერხი, რაც დიდად ამცირებს ლითონის ჭრის შრომატევად პროცესს, რასაც წინად ლითონის გახურების გზით ურომოი აწარმოებდნენ.

მექანიკურ-საამწყობო საამქროსთვის ამკამად ქარხანასთან შენდება ახალი კორპუსი, სადაც დაიდგმება უახლესი კონსტრუქციის სახარატო, სარანდავი, საღარავი და საბურღავი დაზგები.

კულგურის კერები სოფლად

დუშეთი. (საკ. კორ.). მიმდინარე წელს მაღალმთიან სოფელ ჩიხში, ძველოსეთში და ბაზალეთში გაიხსნა სასოფლო კლუბები. კლუბის შენობები კოლმეურნეობებმა საკუთარი სახსრებით ააგეს.

ახალი სასოფლო ბიბლიოთეკა გაიხსნა სოფელ მუგადიჯვარში.

მექანიზაციის მოწინავე მეურნეობა

ზესტაფონი. (საეც. კორ.). არგვეთის მექანიზაციის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ფართოდ გაიაღა სოციალისტური შეჯიბრება ვენახის სამუშაოების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. მთელი ფართობი დანხული და დამარილია. პირველი კულტივაცია ჩატარდა 10,2 ჰექტარზე, შაბიანით შეწამლულია 32 ჰექტარი, გაფურჩქნა-ახვევა დამთავრდა 20 ჰექტარზე. წელს გადაწვინეს 1.200 ძირი ვაზი, ხოლო გამორგეს 2.000 ძირი.

ორგანული სასუქი შეტანილია 7 ჰექტარზე 1.200 ტონის რაოდენობით, აზოტოვანი სასუქი შეიტანეს 46,7 ჰექტარზე. ამ სამუშაოთა შესრულებაში დაწინაურდნენ ბრიგადირები: ამხ. ჭათამაძე და სირბილაძე, მერგოლურები: ამხ. ბუცხრიკიძე, ხოხიაშვილი, ვობა.ხიძე და ლელაძე. კარგად მუშაობს ახალგაზრდა მერგოლური ვ. აბულაძე, რომელსაც მიჩენილი აქვს 1 ჰექტარი ვენახი.

წელს სარდაფის მეურნეობაში ახალი გაუჭაობესება შეიტანეს. დადგმულია საორთქლე ქვაბი, რომლითაც უზრუნველყოფილია ყოველდღიურად ტარამასალის რეცხვა სატრანსპორტო ღვინოებისათვის.

მეურნეობაში წელს მოეწყობა იმერული ტიპის მარანი, რომელშიც იქნება 130 ცალი ქვევრი 14.000 დეკალიტრი ღვინის ტევადობისა. მარნის მშენებლობისათვის საჭირო ცემენტი და ზოგიერთი სხვა მასალა უკვე მომარაგებული აქვთ.

მჯს-ების წარმაჯება

სოხუმი. (საკ. კორ.). ტამიშის სარეინთაშორისო საძირკვავი სამანქანო-სატრაქტორო საღგურის კოლექტივმა 1949 წლის პირველი ნახევრის გეგმა ყველა სახის მიხედვით ვადამდე შეასრულა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.200 ჰექტარისა, სამუშაოები ჩატარებულია 5.700 ჰექტარზე, რაც ნახევარი წლის გეგმის 109 პროცენტს შეადგენს.

თიანეთი. (საკ. კორ.). თიანეთის მტს-ის კოლექტივმა სოციალისტური შეჯიბრების გაწლის შედეგად საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმა 120 პროცენტით შეასრულა. ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებაში დაწინაურდნენ ტრაქტორისტები გ. ჭოლიკაური, ნ. ზარიძე, თ. ბუაჯიაშვილი და პ. ყორიაული, რომლებმაც საწარმოო დავალებას ერთნახევარჯერ და ორჯერ გადაამეტეს და მნიშვნელოვანი რაოდენობით დაზოგეს საწვავი.

ახალი მოსავლის ჩაი

მახარაძე. (საკ. კორ.). ლაითურის ჩაის ფაბრიკა რესპუბლიკაში ერთ-ერთი მძლავრი და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საწარმოა. მიმდინარე წლის სეზონისათვის მოსამზადებლად ფაბრიკის მუშაკთა კოლექტივმა ნაყოფიერი მუშაობა გასწია.

ფაბრიკის კოლექტივს (დირექტორი ამხ. მ. ჩხიკვაძე) წელს გადადებული ვალდებულებანი აქვს ნაკისრი — გეგმით გათვალისწინებული 3.100.000 კილოგრამის ნაცვლად უნდა მიიღოს და გადაამუშაოს 3.800.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ვალდებულების წარმატებით შესრულებისათვის ფაბრიკაში ყველა პირობაა შექმნილი. ფოთლის გადამუშავების პირველმავე დღეებმა გვიჩვენა, რომ ფაბრიკის მუშაკებს მაღალხარისხოვნად შეუსრულებიათ სარემონტო და სხვა მოსამზადებელი სამუშაოები. ყველა მუშა, სპეციალისტი და მოსამსახურე საქმის სიყვარულით ასრულებს თავის მოვალეობას.

ჩაის მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღების საქმეში კარგი მუშაობით განსაკუთრებით გამოირჩევიან ტექნოლოგები მ. პაპავა, ნ. ხელაძე, გ. ვასაძე, უმცროსი ტექნოლოგები თ. კარულინა, გ. ვასილეესკაია, მ. ურუშაძე, ნ. ხელაძე, ზ. განძიფეი და ა. მაჭავარიანი, მუშა ქალები პ. ლაპტევა, ნ. ბალოცკაია, პ. ჩერეპოვა, მ. გუდზოსკაია, პ. დიაჩენკო და სხვ.

ლაითურელები იბრძვიან ახალი წარმატებისათვის.

ჩაის ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 1949 წლის 5 ივნისის ცნობებით)

რაიონის დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტობით: წლიურისა	ივნისისა მაისის დაწყებლისის ჩათვლით
ბათუმის	18,4	18,0
ქობულეთის	17,2	20,4
სულ აჭარაში	**17,5**	**19,9**
გალის	27,3	15,1
ოჩამჩირის	29,3	17,6
გულრიფშის	48,2	22,4
სოხუმის	33,0	29,1
გუდაუთის	34,0	23,2
სულ აფხაზეთში	**28,9**	**16,7**
მახარაძის	19,8	15,9
ჩოხატაურის	25,6	15,8
ლანჩხუთის	24,0	19,7
სამტრედიის	36,5	24,4
წულუკიძის	37,0	20,0
ქუთაისის	50,0	35,4
წყალტუბოს	31,4	10,8

რაიონის დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტობით: წლიურისა	ივნისისა მაისის დაწყებლისის ჩათვლით
ტყიბულის	26,9	23,4
ცხაკაიის	29,2	13,0
აბაშის	37,1	24,4
გეგეჭკორის	33,4	23,8
ზუგდიდის	28,1	18,5
წალენჯიხის	27,4	16,3
ჩხოროწყუს	26,4	10,9
ხობის	29,0	17,9
ჩხარის	48,0	11,4
ზესტაფონის	44,0	20,0
სულ საქართველოს სსრ	**24,3**	**17,9**

მახარაძის რაიონის ცნობა 1 ივნისისა, ხოლო ჩოხატაურის არასრულია.

ბინათმშენებლების წარმაჯება

ტყიბულში მეშახტეთა ახალი ბინების მშენებლობას აწარმოებს ტყიბულშახტმშენის ტრესტის საბინაო მშენებლობის სამმართველო (უფროსი დ. კაპანაძე). ბინათმშენებლებმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საექსპლოატაციოდ გადასცეს 5.016 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი და წლიური დავალება 71,7 პროცენტით შეასრულეს.

საკავშირო პროფსაბჭოსა და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს გადაწყვეტილებით 1949 წლის პირველ კვარტალში მოპოვებული წარმატებისათვის ტყიბულშახტმშენის ტრესტის საბინაო მშენებლობის სამმართველოს მიეკუთვნა საკავშირო პრემია 25 ათასი მანეთის რაოდენობით.

ბინათმშენებლებმა ამ მაღალი შეფასების პასუხად იკისრეს უფრო ფართოდ გაიაღონ სოციალისტური შეჯიბრება ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, იმუშაონ მშენებლობის ნაკადური მეთოდით და მიაღწიონ წლიური გეგმის რვა თვეში შესრულებას (საკ. კორ.).

ქაღაქის კეთილმოწყობის ეროვნული

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქი სანეს იცვლის. იგი მომზადებული და კეთილმოწყობილი ხდება. მშობლიური ქალაქის კეთილმოწყობისათვის ყოველდღიურად ზრუნავენ ჭიათურელი მაღაროელები. 1 ივნისიდან ისინი ატარებენ ქალაქის კეთილმოწყობის ერთთვიურს. მათ გადაწყვიტეს თავისუფალ საათებში იმუშაონ ქალაქის კეთილმოწყობაზე. ამ გადაწყვეტილებას მარგანეცის ქალაქის მშრომელები პრაქტიკულად ახორციელებენ.

დახმარება მრავალშვილიან და მარჩენელა დედებს

ონი. (საკ. კორ.). მშრომელთა დეპუტატების ონის რაიონსაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებამ მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს დახმარების სახით 1948 წელს მისცა 328.396 მანეთი, მიმდინარე წლის სამი თვის განმავლობაში კი 79.701 მანეთი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რაიონის 8 მრავალშვილიან დედას მინაჭებული აქვს გმირი დედის წოდება, 559 მრავალშვილიანი დედა დაჯილდოებულია „სახელოვანი დედის“ ორდენით და „დედობის მედლით“.

მუშა-რაციონალიზაგორი

თბილისის სამსხმელო - მექანიკური ქარხნის სტანანოველმა მრანდაძმა ს. დუგაშვილმა, რომელმაც ამ ქარხანაში მუშაობის ჩვიდმეტი თვის განმავლობაში 6 წლის ნორმა გამოიმუშავა, თავის დაზგებზე სპეციალური სამარჯვების მოწყობით ოთხმაგად გაადიდა შრომის ნაყოფიერება.

ამკამად ქარხანაში ახორციელებენ ს. დუგაშვილის ახალ რაციონალიზატორულ წინადადებას, რომელიც უზრუნველყოფს 7 ცალი მიწოდების კოლოფის (ერთ-ერთი სადაზგე ნაწილია) ერთდროულად რანდვას, რაც წინათ სათითაოდ ხდებოდა. ამ ღონისძიების განხორციელებით სულ ცოტა ერთიხუთად გაიზრდება შრომის ნაყოფიერება.

კახური დაჯოჯვილი ხორბალი

ბათუმი. (საკ. კორ.). შარშან აჭარაში საცდელად შემოტანილ იქნა კახური დატოტვილი ხორბლის თესლი. შემოდგომაზე ეს ხორბალი დათესეს ქედის რაიონის სოფელ გეგელიძეების კოლმეურნეობა „წითელ დროშაში“ ძთაგორიან 1 ჰექტარ ფართობზე. ხორბლის ნაკვეთს უფლის გამოცდილი კოლმეურნე მ. ბალაძე. ამავე ჯიშის ხორბალი დათესილი იქნა ხულოს რაიონის სოფელ დეკანაძეების XVIII პარტსრ სახელობის კოლმეურნეობაში 0,3 ჰექტარზე.

ლეწილობის სახელობის კოლმეურნეობაში 0,3 ჰექტარზე. საშემოდგომო ნათესმა კარგად გადაიტანა ხანგრძლივი და სუსხიანი ზამთარი. ჯეჯილი სწრაფად იზრდება.

დატტოტვილი ხორბლის თესლი საცდელად დათესილი იქნა აგრეთვე მიმდინარე წლის აპრილში. ქედის სასოფლო-საბჭოს XVIII-პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში 0,3 ჰექტარზე.

სოციალისტური შრომის გმირები

გ. დ. დოგუა
ოჩამჩირის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 17,1 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მოსავლისათვის.

ე. ვ. ფულარა
გეგრის რაიონის ვანთიადის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 4,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 25,5 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მოსავლისათვის.

ბ. ფ. სოიუნი
ბოლნისის რაიონის ოდანავის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 28,1 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქოს მოსავლისათვის.

ს. ქ. არშბა
ოჩამჩირის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 98 ცენტნერი ხიმინდის მოსავლისათვის.

ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავი

საზეიმო სხდომა სსრ კავშირის დიდ თეატრში

6 ივნისს მოსკოვმა მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად საზეიმოდ იდღესასწაულა დიდი რუსი პოეტის ალექსანდრე სერგის-ძე პუშკინის დაბადების 150 წლისთავი. საიუბილეო ზეიმი, რომელიც დაიწყო კვირას პუშკინის ძეგლთან მოწყობილი მიტინგით, გრძელდებოდა დედაქალაქის კლუბებსა და კულტურის სასახლეებში, კულტურისა და დასვენების პარკებში. ასიათასობით მოსკოველმა პატივი სცა დიდ პოეტს.

6 ივნისს საღამოს დიდ თეატრში შეიკრიბნენ დედაქალაქის ლიტერატურული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მოსკოვის საწარმოთა სტახანოველები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი, საბჭოთა არმიის ოფიცრები და გენერლები, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკათა დელეგაციები, უცხოელი სტუმრები.

სხდომის მონაწილეთა შორის არიან მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები—სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ს. ი. ვავილოვი, მწერლები ლ. მ. ლეონოვი, ნ. ს. ტიხონოვი, კ. მ. სიმონოვი, ა. ა. სურკოვი, ვ. ვ. ვიშნევსკი, ბ. ლ. გორბატოვი, ა. ვ. სოფრონოვი, ვ. მ. კოჟევნიკოვი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ა. მ. გერასიმოვი, საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის გენერალური მდივანი ტ. ნ. ხრენნიკოვი და სხვები.

სხდომას ესწრებიან მრავალრიცხოვანი სტუმრები, რომლებიც ჩამოვიდნენ მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებიდან და უცხო ქვეყნებიდან. აქ არიან უკრაინის სსრ წარმომადგენლები—ა. პალადინი, პ. ტიჩინა, ა. პიდსუხა, დ. კოსარიკი, ბელორუსიისა—მ. ტანკი, აზერბაიჯანისა —

[illegible]

პარტიული ცხოვრება

საანგარიშო საარჩევნო კრებების შემდეგ

ჩვენი რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო საარჩევნო კრებებზე, რომლებიც გასული წლის ბოლო რიცხვებში ჩატარდა, კომუნისტებმა დიდი აქტივობა გამოიჩინეს. პარტიული ორგანიზაციების მდივნების საანგარიშო მოხსენებანი გაწეული მუშაობის ფართო ანალიზს იძლეოდნენ. კრებებზე გამოსული კომუნისტები საქმის ცოდნით და გაბედულად ლაპარაკობდნენ ჩატარებული მუშაობის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებზე, აყენებდნენ პრაქტიკულ წინადადებებს და მოითხოვდნენ პარტიული მუშაობის უკეთ მოწყობას.

საანგარიშო - საარჩევნო კრებებზე მრავალი ახალგაზრდა და ნიჭიერი კომუნისტი იქნა არჩეული ხელმძღვანელ ორგანოებში. მათ დაევალათ კრებების გადაწყვეტილებათა ზუსტად განხორციელება. უკვე საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ. ახლა ჩვენ თამამად შეგვიძლია ანალიზი გავუკეთოთ ცალკე პარტიულ ორგანიზაციებში წარმოებულ მუშაობას და ვთქვათ იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება საანგარიშო-საარჩევნო კრებების დადგენილებანი.

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარ-

[illegible]

მხედველობიდან არ რჩება პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის არც ერთი უბანი. კარგადაა დაყენებული კომუნისტთა თეორიული მომზადების საქმე, სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული კონტროლი, კომკავშირისადმი დახმარება, დადგენილებათა შესრულების შემოწმება, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიულ-

[illegible]

მოვალენი ვართ ეს გავაკეთოთ. პარტიულმა ორგანიზაციებმა კი ბოლომდე უნდა განახორციელონ საანგარიშო-საარჩევნო კრებების დადგენილებანი და თავიანთი მუშაობა წარმართონ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის ნიშნით.

მ. მაღრაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი

გაითვალისწინებენ მიმდინარე წლის გამოცდილებას

პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის შედეგების შემოწმებისათვის კარგად მოემზადა საქართველოს კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომი. შედგენილ იქნა კალენდარული გეგმა, წრეებსა და პოლიტსკოლებს მიამაგრეს მომზადებული და გამოცდილი ამხანაგები რაიონული აქტივიდან.

საავადმყოფო-პოლიკლინიკის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელი წრის შემაჯამებელმა მეცადინეობამ ცხადყო, რომ წრეში ნაყოფიერი მუშაობაა გაწეული. მსმენელების ქ. ნაჭყებიას, ნ. ადამიას, თ. ზარანდიას, გ. შურღაიას პასუხებიდან აშკარა გახდა, რომ მათ „მოკლე კურსის“ ცალკეული თავების შესწავლისას მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების სხვა ნაშრომებიც შეუსწავლიათ, კარგად ერკვევიან ყველა საკვანძო საკითხში.

კარგი შედეგებით დაამთავრეს სასწავლო წელი ცხაკაიას სარეწაო არტელების პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულმა საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელმა წრემ (პროპაგანდისტი ამხ. შ. ახალაია), ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის, ძველი სენაკის, ხორშის ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციებთან არსებულმა წრეებმა და პოლიტსკოლებმა. (საკ. კორ.).

დროულად და ზუსტად აღვრიცხოთ ნათესი ფართობები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 6 თებერვლის დადგენილების საფუძველზე მოსავლიანობის განსაზღვრის სახელმწიფო ინსპექტორები ატარებენ ნათესი ფართობების და ჯიშიანი ნათესების დასკვნით აღრიცხვას.

აღრიცხვა უნდა ჩატარდეს ყველა კატეგორიის მეურნეობებში — საბჭოთა მეურნეობებსა, საწარმო-დაწესებულებების მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ნათესი ფართობებისა და ჯიშიან ნათესთა აღრიცხვის კარგად ჩასატარებლად საჭიროა მოსამზადებელი მუშაობის სწორად მოწყობა. მთავარია კოლმეურნეობების მიერ აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ამ საქმესთან დაკავშირებული სათანადო საბუთების წესრიგზე მოყვანა, რაც საფუძვლად დაედება დასკვნითი ანგარიშების შედგენას.

ყველა კოლმეურნეობა ვალდებულია საგაზაფხულო თესვის დამთავრებისთანავე წესრიგზე მოიყვანოს ნათესი კულტურების ჯიშიანობის დამადასტურებელი საბუთები — აპრობაციის აქტები. თუ კოლმეურნეობას ჯიშიანი და კონდიციური საკუთარი თესლი არ გააჩნია და იგი დასათესად მიიღო სხვა რომელიმე დაწესებულებიდან ან ორგანიზაციიდან, მას უნდა ჰქონდეს ამის დამადასტურებელი მოწმობები, მიცემული იმ ორგანიზაციიდან, საიდანაც მიიღო ჯიშიანი თესლი. თუ თესლი მიღებულია მეზობელი კოლმეურნეობისაგან, გაცვლის ან ურთიერთდახმარების სახით, მაშინ საჭიროა ამ კოლმეურნეობის ცნობა სათესლე მასალის ჯიშის დასახელებით.

წელს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჯიშიანი კულტურების ნათესების ზუსტ და სწორ აღრიცხვას. საჭიროა კოლმეურნეობებმა ახლავე მიიღონ გადამწყვეტი ზომები იმისათვის, რომ ჯიშიანი თესლით დათესილ თვითეულ ჰექტარზე არსებობდეს ჯიშის დამადასტურებელი საბუთი. ჯიშიანობის საბუთებში მოცემული უნდა იყოს თვითეული ჯიშის ზუსტი დასახელება.

საგაზაფხულო თესვის დამთავრებისთანავე საჭიროა კოლმეურნეობებმა აზომონ ნათესები და შეადგინონ ნათესების ნატურაში მიღების აქტები როგორც მთლიანად თვითეულ კულტურაზე, ისე მათი ცალკე ჯიშების მიხედვით.

წელს დათესილი კულტურების გარდა, უნდა აიზომოს და აღირიცხოს წარსულ წლებში დათესილი და დღემდე შენარჩუნებული მრავალწლიანი ნათესი ბალახების ფართობები. აზომვის შედეგები აუცილებელია გაფორმდეს სათანადო აქტებით.

კოლმეურნეობაში ფაქტიურად დათესილი ფართობების რაოდენობა განხილულ უნდა იქნას კოლმეურნეობის საერთო კრებაზე ან კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე კოლმეურნეობის აქტივთან ერთად.

ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა საბოსტნე ნაკვეთები, რომლებიც მათ მიეცათ საფონდო მიწებიდან და კოლმეურნეობათა აუთვისებელი ნაკვეთებიდან, აღირიცხება შემდეგნაირად:

კოლმეურნეობათა ფართობებზე ნათესის მქონე პირთა სიას ადგენენ კოლმეურნეობების მოანგარიშეები და უდგენენ სასოფლო საბჭოების აღმასკომებს აღსარიცხავად, ხოლო საფონდო ნაკვეთებზე სიას ადგენენ და აღრიცხავენ უშუალოდ სასოფლო საბჭოების აღმასკომები.

სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ იმისათვის, რომ დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარდეს მათ ტერიტორიაზე არსებული ნათესი ფართობებისა და ჯიშიანი კულტურების ნათესების ზუსტი აღრიცხვა.

საჭიროა საკომლო წიგნების წესრიგზე მოყვანა. მოსახლეობაში უნდა ჩავატაროთ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა იმის შესახებ, რომ აღმრიცხველებს მისცენ ზუსტი ცნობები თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე არსებული ნათესების შესახებ და ამით დახმარება გაუწიონ ჩვენს აღმრიცხველებს ამ დიდმნიშვნელოვანი სამუშაოს დროულად და საუკეთესოდ ჩატარებაში.

კოლმეურნეთა, ერთპიროვნულ მეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა ნათესების აღრიცხვის შესახებ მასალები განხილული და დამტკიცებული უნდა იქნას სასოფლო საბჭოების აღმასკომების სხდომებზე.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს თვითეული რაიონული და უბნის ინსპექტორის და სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივნის მოვალეობაა 1949 წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების აღრიცხვის სამუშაოთა გულდასმით და სწორად ჩატარება.

კარგად მოვაწყოთ ნათესი ფართობების აღრიცხვა ყველგან, ყველა კატეგორიის მეურნეობებში. მივცეთ სახელმწიფოს ზუსტი ცნობები სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების ოდენობაზე 1949 წლის მოსავლისათვის.

ა. ზრატიაშვილი

მოსავლიანობის განსაზღვრის სახელმწიფო ინსპექტორი

საანეულო ხვნა კოლმეურნეობებში

5 ივნისისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში საანეულოდ მოხნულია 43.081 ჰექტარი, რესპუბლიკური გეგმის 66,3 პროცენტი.

საანეულო ხვნის გეგმა წარმატებით შეასრულეს ახმეტის, მცხეთის, გარდაბნის, თბილისის, ყვარლის, წითელწყაროს, თელავის, სიღნაღის, კაჭრეთის, გურჯაანის, ხაშურისა და ქარელის რაიონებმა.

სამხრეთ ოსეთში ხვნის დავალება 32,5 პროცენტით არის შესრულებული, ახალქალაქის რაიონში — 32, ბოგდანოვკის — 29,8, ახალციხის — 96,7, ადიგენის — 11,3, ასპინძის — 64,3, გორის — 38,9, კასპის — 95,9, წალკის — 15,2, დუშეთის — 23,3, თეთრი წყაროს — 50, თიანეთის — 11,1, მარნეულის — 72,8, ბოლნისის — 72, საგარეჯოს — 84,2, დმანისის რაიონში — 18 პროცენტით.

ცეკავშირის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

3-4 ივნისს მიმდინარეობდა ცეკავშირის საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ აგრეთვე რაიკოოპკავშირების, რაიკოოპერატივებისა და სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეები. კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ბარამიამ, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საგეგმო-საფინანსო-სავაჭრო განყოფილების გამგემ ამხ. ა. გიგოშვილმა, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ამხ. მ. ნარსიამ, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა ამხ. რ. კვირკველიამ, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ამხ. ა. რაფავამ და სხვ.

სამომხმარებლო კოოპერაციის 1948 წლისა და 1949 წლის 1 კვარტალის მუშაობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ლ. რუხაძემ.

სამომხმარებლო კოოპერაციამ 1948 წლის საცალო ბრუნვის გეგმა 103,1 პროცენტით შეასრულა. გადაჭარბებით იქნა განაღდებული აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, ნედლეულის დამზადებისა და შესყიდვის, ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების წლიური გეგმები. ჩამორჩენაა საპაიო გამოსაღების აკრეფის გეგმის შესრულებაში. ასევე შესრულებული არ არის დაგროვების გეგმა.

საცალო საქონელბრუნვის 1948 წლის გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს ქუთაისისა და გურჯაანის რაიკოოპკავშირებმა, მანგლისის სოფლის კოოპერატივმა და სხვ.

მიმდინარე წლის ოთხნახევარი თვის გეგმების შესრულებაში დაწინაურდნენ რუსთავის სოფლის კოოპერატივი, ბორჯომის რაიკოოპერატივი, ცეკავშირის ყიზლარის საცალო სავაჭრო ორგანიზაცია, თბილისის მეთევზეთა კოოპერატივი, ფოთის რაიკოოპერატივი, ამბროლაურის, ქუთაისის რაიკოოპკავშირები და სხვა.

მაგრამ ცეკავშირის სისტემის ბევრი რაიკავშირი წელს ცუდად მუშაობს, რის შედეგადაც პირველი კვარტალის საქონელბრუნვის გეგმა 94,7 პროცენტით არის შესრულებული. 15 მაისისათვის საქონელბრუნვის მეორე კვარტალის გეგმა განაღდებულ იქნა მხოლოდ 42,8 პროცენტით. მიმდინარე წლის 4,5 თვის გეგმა გეგეჭკორის რაიკოოპკავშირმა 72,1 პროცენტით, მანგლისის სოფლის კოოპერატივმა 73 პროცენტით, მაიაკოვსკის რაიკოოპერატივმა 74,9 პროცენტით, ქარელის რაიკოოპერატივმა 77,4 პროცენტით შეასრულეს. ასევე ჩამორჩებიან გეგმის შესრულებაში აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, წულუკიძის, ბოლნისის, აბაშის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ხობის, ჩოხატაურის, გარდაბნის და თბილისის კოოპორგანიზაციები.

რაიკოოპორგანიზაციათა და სოფლის კოოპერატივთა ხელმძღვანელები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ვაჭრობის საქმის შესწავლას, არ იყენებენ მოძრავ და გამსვლელ ვაჭრობას, ცუდად მუშაობენ საქონლის ნაშთების შესამცირებლად და სხვ. ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული ქალაქებსა და რაიონების მოსახლეობის მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად საქონლის შეტანის პრაქტიკა. ამის შედეგად მთელ, რიგ მაღაზიებში ჩაწოლილია დიდძალი საქონელი, რომელსაც მყიდველი არ ეტანება.

სოფლად და ქალაქად ლიტერატურის გავრცელება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა. ხშირად კი მას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

კოოპერაციულ-საზოგადოებრივი საკუთრების გაფლანგვა-მტაცებლობას ადგილი ჰქონდა აფხაზეთის, გარდაბნის, თიანეთის, ყაზბეგის, ხაშურისა და სხვა რაიონებში. გაფლანგვა-მტაცებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ზოგიერთ კოოპორგანიზაციაში აღრიცხვა-ანგარიშგების საქმე სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული. ხშირად ფორმალურად მუშაობენ სარევიზიო კომისიები, ცუდად მუშაობენ კოოპორგანიზაციების ინსტრუქტორ-რევიზორებიც.

მთავრობის დადგენილების საფუძველზე ცეკავშირი ამჟამად დიდ მუშაობას აწარმოებს საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა სამრეწველო და სასურსათო საქონლით მოსამარაგებლად.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და დახმარებით წელს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში ჩატარდა კოოპერაციული ორგანიზაციების გამგეობათა და საკონტროლო ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები. მეპაიეთა საერთო კრებებზე მკაცრად იქნა გაკრიტიკებული კოოპერაციული ორგანოების 1948 წლის სამეურნეო საქმიანობა. ამავე დროს დასახულ იქნა ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამ დღეებში განიხილეს ცეკავშირის საფინანსო-სამეურნეო მუშაობის 1948 წლისა და 1949 წლის 4 თვის შედეგები. დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი ცეკავშირის მუშაობის გარდაქმნისათვის. ახლა, — ამბობს მომხსენებელი, — ამოცანა ის არის, რომ განუხრელად შევასრულოთ ეს ღონისძიებანი, უფრო ღრმად ჩავწვდეთ ვაჭრობის საკითხებს, ვიბრძოლოთ გაფლანგვა-დატაცების შემთხვევათა აღმოფხვრისა და მომხმარებელთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ცეკავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ამხ. ამბოკაძის და საფინანსო განყოფილების უფროსის ამხ. ჭავჭანიძის მოხსენებათა მოსმენის შემდეგ დაიწყო კამათი. სამხრეთ ოსეთის საოლქო კოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. მაკოევი შეეცადა პირველი კვარტალის გეგმის შეუსრულებლობა მხოლოდ ობიექტური მიზეზებით აეხსნა.

ამხ. ჭედიამ (გარდაბანი) აღნიშნა, რომ პროკურატურის, სასამართლოს და მილიციის ორგანოები ხშირად ოპერატიულად არ იღებენ ზომებს გამფლანგველებისა და დამტაცებლების წინააღმდეგ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. ძოძუაშვილმა (ქუთაისის რაიონი), ხაფავამ (აჭარა), ჩხეიძემ (სახბანკი), ოგანეზოვმა („ცენტროსოიუზის" წარმომადგენელი), წვერავამ (ცეკავშირი), მიხელაშვილმა (ვანი), კალანდაძემ, ხელაშვილმა (ცეკავშირი), კახიშვილმა (ქარელი) და სხვ.

კრებამ დასახა ღონისძიებანი 1949 წლის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ტატიანა ვეჩესლოვას გასტროლები

შესამჩნევად გაიზარდა თბილისის ბალეტი უკანასკნელ წლებში. მაყურებელმა ნახა მრავალი შესანიშნავი დადგმა, რომელთა მხატვრული და პროფესიული ცეკვითი შესრულება მეტად მაღალ დონეზეა. ჩვენს ქართულ სცენას ამშვენებენ ისეთი ცნობილი ძალები, როგორიც არიან სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი ვახტანგ ჭაბუკიანი, მაღალი ტექნიკისა და აქტიორული შესრულების ოსტატები, სტალინური პრემიის ლაურეატები ვერა წიგნაძე და ზურაბ კიკალეიშვილი. თბილისის ბალეტის ძვირფას ფონდს შეადგენენ სახასიათო ცეკვების მშვენიერი შემსრულებლები თამარ ჭაბუკიანი და მარიამ ბაუერი, ლირიული ხასიათის მსახიობი ირინე ალექსიძე, დინამიური მოცეკვავე ე. გელოვანი, რიტმული მ. კამალეტდინოვი, ქორეოგრაფიულად უკვე მომწიფებული მსახიობები თენგიზ სანაძე და რევაზ მალაშვილი.

მიუხედავად ამისა, თბილისელი მაყურებლისათვის მეტად სასიხარულო მოვლენას წარმოადგენდა ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სოლისტის, სტალინური პრემიის ლაურეატ ტატიანა ვეჩესლოვას გასტროლები. ტ. ვეჩესლოვა საბჭოთა ქორეოგრაფიული თაობის ბრწყინვალე მოცეკვავეა, რომელმაც ბედნიერად შეისისხლხორცა მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო რუსული კლასიკური ბალეტის ტრადიციები და სახასიათო ცეკვის ლაღი მანერა და სტილი.

თბილისი ჯერ კიდევ 1932 წლიდან იცნობს ტ. ვეჩესლოვას, როცა მან და ვ. ჭაბუკიანმა პირველი თავიანთი გასტროლები ჩვენი დედაქალაქიდან დაიწყეს და მერე ტრიუმფალურად იმოგზაურეს ევროპასა და ამერიკაში.

ეს იყო კარგა ხნის წინათ. ახლა ქართველმა მაყურებელმა კვლავ ერთად ნახა ორი სახელოვანი საბჭოთა მოცეკვავე. ტ. ვეჩესლოვამ პოეტური აღმაფრენით და ფენომენალური სიზუსტით შეასრულა ჩელიტას რთული პარტია „დონ-კიხოტში". აქ მან ერთნაირი სიმსუბუქით გაართვა თავი სახასიათო და კლასიკური ცეკვის ურთიერთშერწყმის სირთულეს. მისი ვარიაციები ვ. ჭაბუკიანთან ერთად პირველსავე მოქმედებაში სიცოცხლისადმი მიძღვნილი ქორეოგრაფიული სიმღერა იყო. მისი ფინალური ვარიაცია უკანასკნელ მოქმედებაში კი ლირიული ყაიდის ციცინათელას ციმციმია, წკრიალა წყაროს რაკრაკია. მშვენიერი იყო ტ. ვეჩესლოვა არა მარტო 32-ჯერ დატრიალებულ ფუეტეს გამო, რომლის დროსაც ფეხის ცერი ერთ წერტილს არ მოუშორებია, არამედ ცეკვის კეთილშობილური მანერითაც, კლასიკური გრაციის შესისხლხორცებით, საერთო სტილის დაცვით და შესრულების მოჩვენებითი სიმსუბუქითაც.

ორიგინალური სახე შექმნა ტ. ვეჩესლოვამ ბალეტ „ლაურენსიაში". აქ ის ასრულებდა აქტიურ მონაწილე, მეტრეხარისხოვან, მაგრამ აქტიორული და ტექნიკური შესრულებისათვის მეტად რთულ პასკუალას პარტიას. ტ. ვეჩესლოვამ შესძლო დიდი ოსტატობით შეესრულებინა ცერებზე აწყობილი რიტმიული და მხიარული ცეკვა და მაყურებლის მაღალი შეფასებაც მიიღო.

უკანასკნელად ტ. ვეჩესლოვამ ზარემას პარტია იცეკვა „ბახჩისარაის შადრევანში". ცნობილია, რომ ამ როლის შესრულება შეიძლება უფრო იოლი გზითაც, — მიმოდრამული თხრობითი ხერხებით. ტ. ვეჩესლოვამ კი უფრო ძნელი გზა აირჩია. მან მრავალი წლის მანძილზე დაგროვილი აქტიორული და ცეკვითი ოსტატობა გამოიყენა და თვითეული მიზანსცენა, ყოველი მოძრაობა პლასტიკური თხრობით გადმოსცა. იგი ცეკვავდა მაშინაც, როცა ელოდა გირეის დაბრუნებას და მისადმი უსაზღვრო ტრფობით გაბრუებულს ჯერ კიდევ სჯეროდა თავისი ბედნიერებისა. იგი ცეკვავდა მაშინაც, როცა იგრძნო გირეის გაბზარული გულიდან ამონაბერი სიცივე. იგი ცეკვავდა, როცა თავდავიწყებით ხან ემუდარებოდა და ხან კი ემუქრებოდა თავის მეტოქე ქალს, ცეკვავდა და ცეკვითვე ჩასცა ხანჯალი მას. მრავალისმთქმელი ცეკვის ენით წარსდგა იგი გირეის წინაშეც, რომ სასიკვდილო განაჩენი მიეღო მხოლოდ იმისი ხელიდან, ვისთვისაც ასე თრთოდა და იტანჯებოდა. ტ. ვეჩესლოვას შესრულებით ზარემა ოდნავადაც არ არის დამტამპული „აღმოსავლური ტიპის ქალის" სახე. იგი თმაგაჩეჩილი გაანჩხლებული ბარბაროსი დედაკაცი როდია, იგი კეთილშობილი და დიდი გრძნობების მატარებელია. ტ. ვეჩესლოვამ შესძლო შესანიშნავად გადმოეცა დიდი რუსი პოეტის ა. პუშკინის ნაწარმოების გმირი ქალის სახე. მის ცეკვაში იგრძნობოდა არა მარტო პუშკინის ლიტერატურული ტექსტის თვითეული სიტყვა, არამედ წერტილი და წერტილმძიმეც. ჩვენც იმ საერთო აზრს ვუერთდებით რომ ტ. ვეჩესლოვა ზარემას როლის საუკეთესო შემსრულებელია საბჭოთა კავშირში.

დღეს თბილისელი მაყურებელი კიდევ ერთხელ, უკანასკნელად ნახავს ამ სეზონში ტ. ვეჩესლოვას. იგი იცეკვებს თავის სახელოვან პარტნიორ ვახტანგ ჭაბუკიანთან ერთად, რომელთა შემოქმედებითი ბიოგრაფია ერთიმეორესაგან განუყრელია.

ტ. ვეჩესლოვას გასტროლები ჩვენი საბალეტო კოლექტივის შემოქმედებითი შესაძლებლობის შეფასების მშვენიერი შემთხვევაც იყო. ახლა კიდევ უფრო ცხადი გახდა, რომ ქართულ სცენასაც ყავს ისეთი ძლიერი მოცეკვავე ქალი, როგორიცაა ვერა წიგნაძე, რომლის აქტიორულმა და ცეკვითმა ოსტატობამ სახელოვანი არტისტი ტ. ვეჩესლოვაც კი აღფრთოვანებაში მოიყვანა.

ტ. ვეჩესლოვას გასტროლები თბილისის ქორეოგრაფიული სეზონის მშვენიერი დაბოლოება იყო.

ო. ეკალაძე

ა. ს. პუშკინისადმი მიძღვნილი ჟურნალ „ფიდიოგის" სპეციალური ნომერი

სტალინირი. (საქ. კორ.). გამოვიდა საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების ლიტერატურულ-მხატვრულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალ „ფიდიოგის" მეექვსე ნომერი, რომელიც მიძღვნილია გენიალური რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავისადმი.

ჟურნალში მოთავსებულია მოწინავე წერილი — „რუსი ხალხის დიდი გენია", ა. ს. პუშკინის ლექსების ოსური თარგმანები, მ. ლერმონტოვის „პოეტის სიკვდილი" (თარგმანი გაფეზისა), ოსი პოეტების გ. ძუგაევის, ვ. ბეგიზოვის, დ. კუსოვის ლექსები, მიძღვნილი ა. ს. პუშკინისადმი და სხვ.

ცხოვრება ახალ მიწაზე*

მშრომელის ხელმა გაკაფა უკაფავი, ნარინჯოვნებითა და ჩაის ბუჩქებით დაქარგა ეს ბარაქიანი მიწა, ქართველი კოლმეურნის მარჯვენამ ააგო ეს კოპწია ოდა-სახლები, ხეხილი და ვაზი მოაშენა ეზოში, ევკალიპტის შრიალა ხეები ჩაამწკრივა სოფლის ქუჩებში, ელსადგური ააგო და ელექტრონით გაიჩირაღდნა სახლი, სახერხი ქარხანა, სამჭედლო, მექანიკური სახელოსნო და ელექტრონის წისქვილი გამართა კოლმეურნეობაში, გატეხა ყამირი და შრომისმოყვარე ქართველმა გლეხკაცმა საშვილიშვილოდ გააჩაღა კერია შავი ზღვის ლამაზ სანაპიროზე.

ერთი გადაუდებელი საქმე აქვს ახლა სერაპიონ ჭანიას: კოლმეურნეთა სახლები ყავრითაა გადახურული. ყავარი უკვე გაიცრიცა, დალპა. ჭანიას უნდა ყველა კოლმეურნის სახლი კრამიტით, ან ქართული შიფერით გადახუროს და ამასთანავე ყველა ეზო ერთნაირი ღობით შემოღობოს — ეს მეტ სილამაზესა და ეშხს მისცემს სოფელს. ახალი საწყობისა და დამხმარე შენობების ასაგებად ბრიანსკიდან ჩამოზიდეს ხე-ტყე და განა კასპიდან და ნოსირიდან ვერ ჩამოიტანენ ხეივნელები შიფერსა და კრამიტს!

კი, ამ წადილს უეჭველად შეასრულებენ ხეივნელი კოლმეურნეები...

* * *

გაიარეთ მდინარე ენგურიდან გაგრის რაიონის სოფელ განთიადამდე და გზაგზა ყველგან შეგხვდებათ ახალდასახლებული სოფლები!

და ამ ახალ საკოლმეურნეო სოფლებში ელსადგურია და ელექტროწისქვილი; სახერხი ქარხანა და ტრაქტორი; კლუბი, სამკითხველო, სკოლა და საავადმყოფო; წყალსადენი და რადიო, წიგნი და ჟურნალ-გაზეთი, საქონლის ფერმა და სანერგეები!

ტექნიკა, მეცნიერება შეეშველა კოლმეურნეს შრომაში და შრომა გაუადვილა, მაღალნაყოფიერი გახადა!

* * *

შეუმჩნევლად მიიწურა დღე, მომძლავრდა ზღვაური, შრიალებენ ევკალიპტები და მიმოზები, გაჩირაღდნდა ოდა-სახლები.

ამ შეღამებულზე ქლიავის ბაღში წაგვიყვანა სერაპიონ ჭანიამ. სერზეა ეს ბაღი გაშენებული და აქედან დავხედეთ ხეივანს:

ათი-თერთმეტი წლის წინათ ქაღალდზე იყო მოხაზული ეს ადგილი და მას სახელი არ ჰქონდა შერქმეული. ეს ორასი სახლი ორასი პატარა წერტილი იყო სოფლის გენერალურ გეგმაზე წინწკლებივით მიყრილი. და როცა სოფელი ფუძნდებოდა, მაშინ მოვიდა ლავრენტი ბერია აქ და ამ სოფელს იმ დღიდან ხეივანი ეწოდა. ქაღალდზე დანიშნული ის ორასი წერტილი, ახლა ორასი ღონიერი ოჯახია, ორასი ხილნარიანი ეზო, ორასი გაუმქრალი კერა!...

* * *

ზღვის სანაპიროზე გასარკული ღამეა დაფენილი. გზატკეცილი ზღვისპირს მიჰყვება და გვესმის შავი ზღვის შრიალი, მსუბუქად მისრიალებს მანქანა ასფალტდაგებულ გზაზე. გზატკეცილის გაღმა-გამოღმა ევკალიპტის ხეივნებია და ნარინჯოვანთა პლანტაციები, ხეხილის ბაღები, ვენახი... მანქანა მისრიალებს, შრიალებს შავი ზღვა, უკან გვრჩება ლამაზი სოფლები და ისევ ლამაზი სოფლები გვეგებებიან.

გუდაუთში მივდივართ. ხეივნელებმა დიდათ შეაქეს გუდაუთის რაიონის ახალსოფელი. ამ სოფელს არა მარტო სახელი აქვს „ახალსოფელი", ნამდვილადაც ახალსოფელია, სულ შვიდიოდე წლის წინათ დასახლებული.

ამ სოფელში მთის ხალხი ცხოვრობს, — ამბროლაურელი და ონელი კოლმეურნეები.

პირველად ადრე გაზაფხულზე მამაკაცები ჩამოვიდნენ ახალსოფელში. მხოლოდ ორი საცხოვრებელი სახლი იყო მოთავებული. ტრიალ მინდორში გამართეს კარვები და ჩამოსვლისთანავე საქმეს მოეკიდნენ ოსტატები.

შემოდგომისათვის ასი ოდა-სახლი წამოჭიმეს ოსტატებმა ახალსოფელში, ისევ ონსა და ამბროლაურს მიაშურეს და გადმოსახლების თადარიგს შეუდგნენ.

...და ერთ მშვენიერ დღეს ას ორმოცდაათ ავტომანქანაზე შესხდა ას ორმოცდაათი ოჯახი და ავტომანქანების ქარავანი ქუთაისისაკენ გამოემართა;

მხოლოდ მეოთხე დღეს მიაღწიეს ახალსოფლამდე.

ახალ სახლებში დაბინავდნენ.

ბიძინა გამყრელიძეს არასოდეს დაავიწყდება ახალსოფელში გათეული პირველი ღამე.

...მთვარიან ღამით აივანზე გამოვიდა ვაჟკაცი — გაიხედა ჩრდილოეთით და ხედავს — კოხტა მთებია მომდგარი, ისეთივე ტყეხშირი, როგორც რაჭის მთები და ეს ტყე ისე ბუბუნებს, როგორც რაჭის ტყე. დაჯერებული კი იყო — ტყე და მთა ისეთი ლამაზი, როგორიც რაჭაშია, არსად არაა დედამიწაზეო. სამხრეთიდან მომდგარი ზღვის ზღაპრულმა სილამაზემ უფრო გაოცა ბიძინა გამყრელიძე. მთვარის შუქზე გადავერცხლილიყო შავი ზღვა და საამურად შრიალებდა.

ბუნების სიდიადემ დაატყვევა ვაჟკაცი და იგი დიდხანს იდგა აივანზე სულგანაბული...

პირველი დღიდანვე შეიყვარეს ახალმოსულებმა ახალსოფელი და დაუზარელი შრომა გააჩაღეს!

* * *

მდინარე რიონის ზემოწელში, მარცხენა ნაპირზე მდებარეობს პატარა სოფელი წესი.

ნიადაგი კლდიანია და მწირი. წესელები შრომას იყვნენ გადაგებული და მაინც ადრე გაზაფხულამდე არ ჰყოფნიდათ მოწეული ჭირნახული.

...ყრმობიდანვე შრომობდა პეტრე კვილაძე, ფრინველს ასწრებდა გაღვიძებას და როცა ქარაფიანი რიონისპირი ღამის ქუფრს დაიფენდა, მხოლოდ მაშინ მოვიდოდა შინ და მაინც არ იქნა და არა, ხელმოკლეობა ვერ მოიშორა.

ხანდახან ნიაღვარი მოიჭრება ამ ფერდებს და დედა-ბუდიანად ხევებში ჩალეკავს ხალხის ნაჯაფარს.

არა, არ გაახარა წესის მიწამ წესელი გლეხკაცი!

ბარაქიანი ჭირნახული მხოლოდ 1942 წლის შემოდგომაზე მოიყვანეს წესელებმა ახალსოფელში...

— ჩვენ და ვაზი განუყრელნი ვართ, — მითხრა პეტრე კვილაძემ, — და მოვედით თუ არა ახალსოფელში, ვაზი ჩავყარეთ — „ცოლიკოური", „საფერავი", „კრახუნა" და „ჩხავერი". ახლა ჩვენი ვენახი ორმოც ჰექტარზეა გაშენებული. ვაზი უჩვეულო მოსავალს იძლევა. შარშან ოთხმოცდაცამეტი ცენტნერი ყურძენი მივიღეთ თვითეულ ჰექტარზე, — ეს კოლმეურნეობაში! ხოლო ყოველ მოსახლეს საკუთრივ აქვს ოთხას ძირამდე ვაზი. ვაზმა, ტუნგომ და ხეხილის ბაღებმა ააღორძინეს ჩვენი სოფელი.

— ომის დროს მე ფრონტზე ვიყავი და იქ მომდიოდა თანასოფლელების თავდადებული შრომის ამბავი. მოვედი და უცბად ვერც კი ვიცანი ჩემი სოფელი: ტანი აუყრია ხეხილს, მომძლავრებულა ვაზი; ყამირი რომ დავტოვე, იქ ახლა თამბაქოსა და ტუნგოს პლანტაციებია. დაუმთავრებიათ კოლმეურნეობის დიდი მარანის აგება, მომრავლებულა ჩვენი ხარ-ძროხა, უფრო დამშვენებულა ჩვენი ოდა-სახლები... ვიცი, ჩემი თანასოფლელები ანეტა ციხისელი და ივდითი გოგსაძე, პარმენ მეშვილდიშვილი და გიორგი გელაშვილი მუშაობდნენ ასე თავდადებით. მათი შრომა მშველოდა ფრონტზე და სოფელში ამ შრომამ არ გააქრო ჩემი კერა...

* * *

მთაში გაზრდილი კაცი წყაროს წყალსაა დანატრებული. პირველ რაჭველ ხუროებს, რომლებიც ამ ახალსოფელს აშენებდნენ, ბევრჯერ უნატრიათ — ერთი რაჭის წყაროს წყალი დამალევიაო; არც იმდენად ცუდი სასმელი წყალი იყო ახალსოფელში. მთებში გაზრდილი კაცის გული მაინც თავისას იძახდა, სუფთა, ანკარა წყაროს წყალი სურდა.

მთიდან წყაროს წყლის გამოყვანის ფიქრი თავიდანვე აეკვიატათ ახალსოფლელებს. მათ გაიგეს, რომ გუდაუთის რაიონის მთიან სოფელში — ლიხნში სახელმოხვეჭილი წყაროს წყალია; გამოიხმეს ინჟინერი, წაიყვანეს სოფელ ლიხნში, შეადგინეს წყალსადენის პროექტი და მთელი სოფელი ერთის გულით მოეკიდა ამ საქმეს.

ლიხნის წყაროს წყალი შემოაჩუხჩუხეს ახალსოფელში, ისეთივე ცივი, სასიამო და ანკარა, როგორც წყაროები რაჭის მთებისა.

განა მარტო წყალსადენი გაიყვანეს ახალსოფლელებმა ამ ახლოხანში!

ახალი შენობები ააგეს სასოფლო საბჭოსათვის, რვაწლიანი სკოლისა და საავადმყოფოსათვის, ახლახან დაამთავრეს აბანოს აგება. რამდენიმე წელია მუშაობს კოლმეურნეობის ელსადგური და ახლა ექვსასი ათასი მანეთი აქვთ გადადებული ორსართულიანი კლუბის ასაგებად. საშენი მასალა უკვე მოზიდული აქვთ, თავად ოსტატები არიან, მარტოოდენ პროექტის შედგენას ელოდებიან.

* * *

ზღვასთან ახლოს, ზეგანზე გამართულია ახალსოფლელთა ღვინის მარანი. აქვეა ვაზის სანერგე და საცდელი ნაკვეთები. შარშანდელი და შარშანწინდელი ღვინით სავსეა ასფუთიანი კასრები.

ახალსოფლელთა ღვინომ უკვე გაითქვა სახელი. აქ დამზადებულ ღვინოებს სოფლის სახელი შეარქვეს: „ახალსოფლური საფერავი", „ახალსოფლური კრახუნა", „ახალსოფლური ოჯალეში". კოლმეურნეობის მარანში იშვიათად როდი მოდიან შორეული რაიონებიდან ღვინის საყიდლად...

— არა, არ მეგონა თუ ასე მალე აგრერიგად მომძლავრდებოდა ჩვენი სოფელი, — მითხრა პეტრე კვილაძემ. მე პირველი მსურველთაგანი ვიყავი, რომ ჩვენი სოფელი აქ დასახლებულიყო, მაგრამ გულში მაინც მქონდა შიში — ეგებ ჰავამ დაგვცადოს, ან წინასწარ როგორ მიხვდები, თუ როგორ გაახარებს ვაზსა და ხეხილს ეს დალოცვილი მიწა! რაჭაში გაზრდილი კაცი კი უვაზოდ და უხილოდ ვერ გაძლებს. მეტსაც გეტყვი — როცა ჩვენს სოფელში ხმა დაირხა — გუდაუთის რაიონში უნდა დავასახლოთო, ჩვენ კაცები გამოვგზავნეთ და გულისფანცქალით ველოდით მათ მთაში ამობრუნებას. მოვიდნენ და სასიხარულო ამბავი მოიტანეს. ლამაზ მთებსა და შავ ზღვას შორის გადაჭიმულ ზეგანზე სოფელს აშენებენ ჩვენთვის, ლამაზ, ჩვენებურ ოდა-სახლებს, ახლოს არის რკინიგზა, ხოლო მთავარი გზატკეცილი შიგ სოფელში გადისო... და როცა პირველად ჩამოვედით მამაკაცები, რათა სახლების მშენებლებს შევშველებოდით, ვიგრძენით მშობლიური ზრუნვა, განსაკუთრებული გულისყურით მოგვეკიდნენ, თითქოს ჩვენი ადრინდელი მეგობრები ან ნათესავები ყოფილიყვნენ.

— ყოველმა ახალმოსახლემ იცის, თუ ვისი მზრუნველობის შედეგად დავსახლდით აქ, ვინ შეგვიქმნა ეს ბედნიერი ცხოვრება.

* * *

ეს ახოვანი ვაჟკაცი პეტრე კვილაძე ომიდან დაბრუნების შემდეგ ჩაუდგა სათავეში ახალსოფლის სერგო ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას.

ყირიმში მიიღო პირველი ჭრილობა პეტრე კვილაძემ 1942 წლის მაისში და სამკურნალოდ სარატოვს გაგზავნეს. ოდნავ მომჯობინდა თუ არა, ვერ დააკავეს ჰოსპიტალში. ფრონტზე დაბრუნება აუკრძალეს. მაშინ სარატოვის ოლქის რომელიღაც სოფელში წავიდა და ერთი წელიწადი იქ მუშაობდა კოლმეურნეობაში. დაუღალავი და უნარიანი ორგანიზატორია და ამის გამო აირჩიეს ახალსოფლელებმა ხელმძღვანელად. მას გულში აქვს მოხაზული მომავალ სამუშაოთა გეგმა:

აი, მთის ფერდობებს ხომ ხედავ? იქიდან მოყოლებული ზღვის პირამდე გადაიჭიმება ჩვენი ვენახი, ტუნგოსა და თამბაქოს პლანტაციები. სოფლის ირგვლივ ხეხილის ბაღები გაშენდება. ერთიათად იმრავლებს ჩვენი საქონელი და ჩვენი მწყემსები შორეულ მთებში გარეკენ საქონელს საბალახოდ. სულ მალე ახალი თეატრი გვექნება, ფერმის ახალი შენობა, ახალი მარანი.

ეს შორეული მომავალი არ არის, ეს ჩვენი კოლმეურნეობის ხვალინდელი დღეა!...

გასცქერი ამ ახალდასახლებულ სოფლებს და ცხადად გესმის, ამ ხეივნებისა და ზღვის შრიალში რა ხალისით იმღერის შრომაგამართლებული გლეხკაცის გული!...

ალიო ადამია

*) დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 112.

ბრიტანეთის საინფორმაციო ბიუროს ხელმძღვანელმა პოლონეთში უარი თქვა ინგლისის ქვეშევრდომობაზე

ვარშავა, 4 ივნისი. (საკდესი). პოლონეთის საზოგადოებრივი ადმინისტრაციის სამინისტრომ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა:

საზოგადოებრივი ადმინისტრაციის სამინისტროში გამოცხადდა „ბრიტანული საბჭოს" პოლონეთში არსებული ბრიტანული საინფორმაციო ბიუროს ხელმძღვანელი, ინგლისის ქვეშევრდომი ჯორჯ ჩ. ბიდუელი.

ბ-ნმა ბიდუელმა განაცხადა, რომ წარმოდგენილ წერილობით განცხადებაში აღნიშნული მოტივებით მას სურს უარი თქვას ინგლისის ქვეშევრდომობაზე და ითხოვს, რომ იგი პოლონეთის მოქალაქედ მიიღონ.

ბ-ნმა ბიდუელმა აგრეთვე განაცხადა—მე ვაცნობე ჩემს ხელმძღვანელობას ლონდონში, რომ ვტოვებ ჩემს პოსტს და მსურს პოლონეთში დავსახლდე და ვიმუშაო.

საზოგადოებრივი ადმინისტრაციის მინისტრმა განიხილა ბიდუელის განცხადება, მხედველობაში მიიღო მის მიერ წამოყენებული მოტივები, დააკმაყოფილა მისი თხოვნა და განკარგულება გასცა, რომ იგი პოლონეთის მოქალაქედ მიიღონ.

ბ-ნმა ბიდუელმა ითხოვა, რომ პოლონურ პრესაში გამოაქვეყნონ ტექსტი მისი განცხადებისა, რომელიც ქვემოთ სრულად იბეჭდება.

ბ-ნმა ბიდუელმა ეს განცხადება გაუგზავნა აგრეთვე „ბრიტანული საბჭოს" ხელმძღვანელობას ლონდონში.

მკითხველთა საყურადღებოდ ვიუწყებით, რომ „ბრიტანული საბჭო" ინგლისის მთავრობის დაწესებულებაა, რომელიც 1934 წელს დაარსდა. ამ დაწესებულების ოფიციალური მიზნები ასე განისაზღვრება: „გავრცელება ცნობებისა ინგლისის შესახებ, ინგლისური ენის სწავლება, ინგლისსა და სხვა ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობის განმტკიცება".

„ბრიტანულ საბჭოს" აფინანსებენ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო და კოლონიათა სამინისტრო. საბჭოს მოქმედებისათვის პასუხისმგებელია საგარეო საქმეთა მინისტრი.

„ბრიტანულ საბჭოს" თავისი წარმომადგენლობა აქვს ევროპის მეტ წილ ქვეყნებში.

ბ-ნ ჯ. ჩ. ბიდუელის განცხადების ტექსტი

„არმიიდან წასვლა გადავწყვიტე 1943 წელს, რადგან მეგონა, რომ შევძლებდი მთელი ძალღონე მოვეხმარებინა იმ იდეის სამსახურისათვის, რომელსაც, ჩემი აზრით, ცხოვრების ბრიტანული წესი განასახიერებს და რომელსაც ომისშემდგომ დროს შეეძლო მნიშვნელოვნად შეეწყო ხელი მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის. მაგრამ მგონია, რომ ეს დიადი ბრიტანული იდეა ამერიკულ დოლარებად მიჰყიდეს ისეთ ადამიანებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ პოლონური ფილმი „ოსვენციმი" მხოლოდ მაშინ მოიპოვებს წარმატებას შეერთებულ შტატებში, თუ ნებადართული იქნება, რომ ამ ფილმში ეროტიკული ეპიზოდები შეიტანონ. ეს ბრიტანული იდეა მიჰყიდეს იმ „ახალ ქვეყანას", რომელსაც შეუძლია იარსებოს მხოლოდ ომის, დამონებისა და იმპერიალისტურ დაპყრობათა საშუალებით.

ჩემს მუშაობაში წინანდებურადვე მესაჭიროება სახელმძღვანელო იდეა, ისევე როგორც იგი ესაჭიროება ყველას, ვინც უკუაგდო ამერიკანიზმის იდეოლოგია, რომელსაც საფუძვლად უდევს ჯუნგლების მგლური სამართალი. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ნამდვილი იდეა, მშვიდობის სასარგებლო იდეა არის ის იდეა, რომელიც შეესაბამება მთელი მსოფლიო მშრომელებისა და ინტელიგენტების დიდი უმრავლესობის ინტერესებს, ის იდეა, რომელიც ცხოვრების გზას უკაფავს იმ ქვეყნების ხალხებს, რომელთაც დღეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს უწოდებენ.

პოლონეთში სამწელიწადნახევარს ყოფნის დროს დავრწმუნდი, რომ პოლონეთის მთავრობას, რომელსაც მხარს უჭერს ხალხი, სურს მშვიდობა, მოითხოვს მშვიდობას და იბრძვის მშვიდობისათვის. მხოლოდ მშვიდობის პირობებში შეუძლია პოლონეთს აღორძინდეს, განავითაროს თავისი კულტურა, თავისი მეცნიერება, მეურნეობა და აინაზღაუროს ოკუპაციის დროის უდიდესი ზარალი. პოლონეთის მთელი პოლიტიკა, ჩემი აზრით, განისაზღვრება მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის, თავისი ეროვნული სუვერენიტეტის შენარჩუნების და პოლონეთის ახლანდელი სამართლიანი საზღვრების დაცვის აუცილებლობით. ამიტომ პოლონეთის პოლიტიკა იზოლაციის პოლიტიკა კი არ არის, არამედ ყველა იმ ხალხთა თანამშრომლობის პოლიტიკაა, რომლებიც მეგობრულად ეპყრობიან პოლონეთს. იმ პოზიციამ, რომელიც პოლონეთის ხელისუფლებმა დაიკავეს პოლონეთში „ბრიტანული საბჭოსადმი", უცილობლად დაამტკიცა, როგორც არაერთგზის აღმინიშნავს, რომ პოლონეთსა და დასავლეთ ევროპას შორის „რკინის ფარდა" არ არსებობს. ეს შეიძლება მით უფრო საკვირველად მოგვეჩვენოს, რომ დასავლეთი სახელმწიფოების პოზიციას, გარდა საფრანგეთისა, პოლონეთის დასავლეთი საზღვრების აღიარების რაიმე ნიშანწყალიც არ ემჩნევა. ინგლისისა და საფრანგეთის კულტურის წარმომადგენლებისადმი პოლონეთის დამოკიდებულება ნათლად მოწმობს, რომ პოლონეთს კულტურული თანამშრომლობა სურს. პოლონეთის პოლიტიკასა და მეზობელ ქვეყნებთან მის შეთანხმებებში აგრესიული ზრახვების ნატამალსაც ვერ ვპოულობ, მაშინ როცა ამას ხაზგასმით აღნიშნავენ ატლანტიკის პაქტის მონაწილე დასავლეთი ქვეყნები.

როგორც ჯარისკაცს, რომელმაც ომი ნახა, როგორც ადამიანს, რომელმაც საკუთარი გამოცდილებით იცის, თუ რა მოაქვს ომს, მე მშვიდობა მსურს.

მე აღტაცებით ვადევნებდი თვალყურს პოლონეთის პოლიტიკის განვითარებას, თვალყურს ვადევნებდი აგრეთვე დასავლეთი სახელმწიფოების მაქინაციებს, რაც დოლარის აშკარა ჰიპნოზური გავლენით ხდებოდა. მე ვხედავდი რომ მარშალის გეგმის მარწუხი ახშობდა იმ ხალხთა ინიციატივასა და დამოუკიდებლობას, რომლებმაც უგუნურება ჩაიდინეს და ეს გეგმა მიიღეს.

მე თვალყურს ვადევნებდი ბრიუსელის კავშირს და ვხედავ ატლანტიკის პაქტის პოლიტიკას, რომელიც მსოფლიოს ბანაკებად თიშავს და შეიძლება თავს მოახვიოს მას ომი. არ შემიძლია აგრეთვე არ დავინახო დანაშაულებრივი პოლიტიკა აღორძინების პროცესში მყოფი კაპიტალისტური და ნაციონალისტური გერმანიისათვის მხარდაჭერისა, სადაც ყოფილი ჰიტლერელები გახდნენ იარაღი ამერიკულ კაპიტალიზმისა, რომელიც მათი კეთილისმყოფელის როლს კისრულობს.

დასავლეთში კვლავ იარაღს ისხამენ, რათა მხარი დაუჭირონ სრულიად არაჯანსაღ ეკონომიკას, რათა მოატყუონ მუშათა მასები და გამალებული შეიარაღების გზით ყველა უზრუნველყონ სამუშაოთი. ამასთან მუშებს არწმუნებენ, რომ ახალი ომის საფრთხე გარედან მოელით, მაშინ როცა ნამდვილად ამ საფრთხეს სწორედ გამალებული შეიარაღება წარმოადგენს.

ყოველივე ამაში ინგლისის მთავრობამ, რომელსაც ბ-ნ ბევინის მათრახი ამოქმედებს, შეასრულა თავისი როლი, თუმცა მეორეხარისხოვანი როლი, რომელიც არ შეეფერება ამ ოდესღაც დიდ სახელმწიფოს, მაგრამ მაინც სერიოზული თანამონაწილის როლი შეასრულა, მიუხედავად იმისა, რომ ამ მთავრობას უნდა გამოეჩინა მამაცობა და უარი ეთქვა ამ როლზე.

მე არ მჯერა, რომ ინგლისელი ხალხი, თუნდაც ის ადამიანები, რომელთაც ომის დროს ვხელმძღვანელობდი, მხარს დაუჭერდნენ ამ პოლიტიკას, ისინი რომ მარტო კაპიტალისტური პრესიდან არ იღებდნენ ინფორმაციას.

გამოჩენილი ინგლისელი ინტელიგენტები, პროფკავშირული მოღვაწეები, აგრეთვე ინგლისის მოწინავე ქალები—ყველა ისინი ხმას აძლევენ მშვიდობას და მოითხოვენ მშვიდობას, მაშინ როცა ბევინი ცინიკურად უჩვენებს ზურგს გაერთიანებულ ერებს და ინგლისს აქცევს დამორჩილებულ ქვეყნად, კავშირად, რომელსაც დანაშაულებრივი ამერიკული იმპერიალიზმი ხელმძღვანელობს.

ბრიტანელ ამომრჩეველთ აშინებენ კაპიტალისტი დემაგოგები, რომლებიც მიმართავენ ცილისწამებას, აშინებენ, რომ საფრთხე მოელით კომუნიზმისა და სსრ კავშირისაგან. მათ მიერ შექმნილ ცილისმწამებლურ სურათს საერთო არა აქვს რა იმ ქვეყანასთან, რომელსაც სურს საზოგადოებრივი თანასწორობა, ცხოვრობს მშვიდობიანად, უყვარს მშვიდობა და ისწრაფვის მშვიდობის განმტკიცებისაკენ. კარგი ურთიერთობა შეიძლება აგებულ იქნას არა იარაღის პირამიდებზე, არამედ მიზნისა და მისწრაფების ერთიანობაზე, გეგმიან მეურნეობაზე, რაც სპობს უმუშევრობასა და ეკონომიურ კრიზისებს, რომლებიც აიძულებენ კაპიტალისტურ ქვეყნებს განუწყვეტლივ იარაღდებოდნენ, რათა უზრუნველყონ თავიანთი დიდი მოგება, ხოლო გამალებულ შეიარაღებას, როგორც ისტორიის გამოცდილებამ დაგვანახვა, შეუძლია ომი გამოიწვიოს.

ბრიტანეთის მთავრობა და ბრიტანეთის დიპლომატიური კორპუსი, ატყუებენ რა ამრიგად ხალხს, ცდილობენ ჩაერიონ სხვა ქვეყნების შინაურ საქმეში, რაც, ჩემი აზრით, არ შეესაბამება ბრიტანელი ხალხის სურვილს. სხვა სახელმწიფოთა შინაურ საქმეში ეს ჩარევა მმართველი ხროვის საქმეა, რომელიც ყურადღებას არ აქცევს თემთა პალატის პატიოსანი წევრების მცირე ჯგუფს, რომელნიც ცდილობენ ამხილონ პალატის საქმიანობა.

სხვა სახელმწიფოთა შინაურ საქმეში ჩარევის პოლიტიკაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე დიპლომატიური კორპუსი და საგარეო საქმეთა სამინისტროს ძველი დახავსებული პერსონალი. ყოველივე ეს საძაგლად და საზიზღრად მიმაჩნია, და აქ მთელი ჩემი მუშაობა და „ბრიტანული საბჭოს" ყოველგვარი მუშაობა კომედია ხდება.

პოლონეთის მთავრობა და პოლონელი ხალხი უნდა შეეკითხონ თავს, რა ფასი აქვს იმ ქვეყნის კულტურულ მეგობრობას, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო აგრესიის მიზნებს ემსახურება, იმ ქვეყნისათვის, რომელიც იმ ბანაკს ეკუთვნის, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული ეს აგრესია. ასეთ მეგობრობას არ შეიძლება ფასი ჰქონდეს, და მუხანათობა იქნება, ჩვენ რომ სხვა პასუხის გაცემა მოვისურვოთ.

დიდხანს ვიფიქრე ამ საკითხზე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ „ბრიტანული საბჭო", მიუხედავად იმისა, რომ ხაზგასმით აღნიშნავს თავის განზრახვას—პოლიტიკის გარეშე იდგეს, შეიძლება ყოველ წუთს აღმოჩნდეს ისეთ მდგომარეობაში, რომ იმოქმედოს იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომლის იდეოლოგიაც დიდი ბრიტანეთის იდეოლოგიისაგან განსხვავდება. პოლონეთს ინგლისელ ხალხთან თანამშრომლობა სურს კულტურის დარგში, რადგან სწამს, და მართებულადაც სწამს, რომ ინგლისელი ხალხი უკეთესია, ვიდრე მისი ახლანდელი მთავრობა მაგრამ პოლონეთს არ სურს კულტურული თანამშრომლობა მთავრობასთან, რომელიც მონაწილეობს ატლანტიკის პაქტსა და მარშალის გეგმაში. რადგან მე ვფიქრობ, რომ ასეთ პოზიციაზე მდგომი პოლიტიკოსები მართალი არიან, და რადგან „ბრიტანული საბჭო", ამ პოზიციაზე დგომისას, თავიდან ვერ აიცილებდა ბრიტანეთის მთავრობასთან კონფლიქტს, ჩემი აქ მუშაობა შეუძლებელი ხდება.

ჩემი ახლანდელი მდგომარეობა იმპერიალისტური ბლოკის მონაწილედ მხდის, ამას კი ველარ შევურიგდები. მე იმპერიალიზმის მოწინააღმდეგე ვარ. მე იმ პოლიტიკის წინააღმდეგი ვარ, რომელსაც აგრესიული პაქტებისაკენ მივყავართ. მე ხალხის მომხრე ვარ, მშრომელთა დიდი მასების მომხრე ვარ, რომლებსაც კაპიტალისტურ ქვეყნებში, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ფსევდოსოციალისტები არიან ხელისუფლების სათავეში, ექსპლოატაციას უწევენ პარაზიტები და უსაქმურები.

მე მსურს თავისუფალი ვიყო, რათა მთელი ძალღონე მოვახმარო მშვიდობის საქმეს, რათა ვისწრაფოდე დასახული მიზნისაკენ — მშრომელი მასების კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ, რასაც აღორძინებულ პოლონეთში ვგრძნობ და ვხედავ.

„ბრიტანულ საბჭოში" მუშაობის პირველ პერიოდში დიდ კმაყოფილებას ვგრძნობდი, და ამ პერიოდისათვის მადლობელი ვარ. მაგრამ ეს შეუცნობელი კმაყოფილება იყო, რაც ემყარებოდა ჩემს რწმენას, რომ იდეა, რომლისთვისაც ჩვენ ვმუშაობთ, სწორი იყო და არა ყალბი. სამწუხაროდ, ეს იდეა აღარ არსებობს როგორც დამოუკიდებელი იდეა. არ არის იმედი, რომ იგი გაუძლებს იმ საზიზღარ სახელმწიფო მოღვაწეთა გავლენას, რომელთაც სურთ თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენონ ეს იდეა. მაგრამ ახალი და საუკეთესო მსოფლიო ჩნდება ეგოიზმს მოკლებულ ახალ იდეათა ნიადაგზე.

ჯ. ჩ. ბიდუელი.

ყოველკვირეული ირანული ჟურნალი ინგლისის პოლიტიკის შესახებ ირანში

თეირანი, 6 ივნისი. (საკდესი). იმ მოლაპარაკების მორიგ ჩაშლასთან დაკავშირებით, რომელიც ირანის მთავრობასა და ინგლის-ირანის ნავთის კომპანიას შორის წარმოებდა საკონცესიო ხელშეკრულების შეცვლის პირობების შესახებ, ყოველკვირეული ჟურნალი „თეირან მოსავარი", რომლის გამომცემელია მეჯლისის დეპუტატი დეხკანი, მოწინავე სტატიაში სათაურით „ინგლისმა ფეხქვეშ გათელა ჩვენი უფლებები" წერს: „200 წელია, რაც ირანსა და ინგლისს შორის ოფიციალური ურთიერთობა არსებობს, და მთელი ამ ხნის განმავლობაში ირანელი ხალხი ზარალს განიცდიდა ინგლისისაგან. ყოველთვის, როცა ირანი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, ინგლისი ამით სარგებლობდა ირანის საზიანოდ და საზარალოდ".

„ჩვენი გეგმების განხორციელებაში ხელი რომ შეგვიშალოს, ინგლისის მთავრობა იყენებს ყველა უკანასკნელ საერთაშორისო მოვლენას და უარს ამბობს იმის გადახდაზე, რაც კანონით გვერგება...

ინგლისის აგენტების ეს უსამართლობა უდიდეს აღშფოთებას, გულისწყრომასა და გაავთრებას გამოიწვევს და ირანელი ხალხი, რომელმაც გაიგო, თუ ვისგან განიცდის იგი ტანჯვას და ვინ უსპობს მას მოსვენებას, ხოლო მის ქვეყანას კეთილდღეობას, მომავალში აღარ ივლის ინგლისთან მეგობრობისა და ერთსულოვნობის გზით".

პუშკინის დღეები უცხოეთში

ჰოლანდია

ჰააგა, 6 ივნისი. (საკდესი). ჰოლანდიის პრესა აღნიშნავს ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავს. გაზეთმა „დე ვაარჰეიდმა" გამოაქვეყნა ვრცელი სტატია დიდი რუსი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, აგრეთვე ალიდა სკოტის მიერ თარგმნილი პოემის „ბრინჯაოს მხედრის" ნაწყვეტები.

პოეტის შემოქმედებაზე სტატიები გამოქვეყნდა ჟურნალ „დე ფრეიე კატედერში", გაზეთ „ალგემეინ ჰენდელსბლადში" და სხვ.

ავსტრია

ვენა, 6 ივნისი. (საკდესი). ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით ავსტრიის მრავალ მუშათა კლუბში ეწყობა პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოები.

ავსტრიის მთელმა რიგმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს სტატიები პუშკინის შემოქმედებაზე და მისი ლექსების თარგმანები.

დანია

კოპენჰაგენი, 6 ივნისი. (საკდესი). დანიის გაზეთებმა მოათავსეს ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ვრცელი სტატიები.

„ლანდ ოგ ფოლკი" თავის სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს პუშკინის შემოქმედების რევოლუციურ ხასიათს. გაზეთი ათავსებს ლექსის— „დეკაბრისტებს ციმბირში" — ახალ თარგმანს დანიურ ენაზე.

პროფესორი ეინარ ტომასენი გაზეთ „პოლიტიკენში" აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში აღსრულდა პუშკინის წინასწარმეტყველება, რომ მას მოიხსენიებს რუსეთის ყველა ერი. პროფესორი ტომასენი აცხადებს, რომ დიდი რუსი პოეტის შემოქმედება გამსჭვალულია ჰუმანიზმით.

პოლონეთი

ვარშავა, 6 ივნისი. (საკდესი). დღეს პოლონეთის საზოგადოებრიობა აღნიშნავს დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავს.

პოლონური გაზეთები ათავსებენ ამ წლისთავისადმი მიძღვნილ მრავალ სტატიას, აგრეთვე პუშკინის ლექსების თარგმანებს.

გაზეთ „ტრიბუნა ლუდუში" გამოქვეყნებულია პუშკინის დაბადების 150 წლისთავის მომწყობი პოლონეთის კომიტეტის საპატიო თავმჯდომარის ვლადისლავ კოვალსკის სტატია, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ პუშკინის დღეები დიდი მნიშვნელობის მოვლენაა არა მარტო ყველა საბჭოთა ხალხისათვის, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენაც არის.

ჩვენ, პოლონელები, წერს კოვალსკი, პუშკინში ვხედავთ მოძმე ხალხის ნაციონალური კულტურის ერთ-ერთ მშვენიერ მოვლენას, იმ მოწინავე მოაზროვნეთა ერთ-ერთ გენიალურ წარმომადგენელს, რომლებსაც მსოფლიო პროგრესის გზით მიჰყავთ. პუშკინი მტკიცედ არის დაკავშირებული პოლონელ ხალხთან გულითადი მეგობრობით, რომელიც მას მიცკევიჩთან აერთებდა. დიდი პოეტების მეგობრობა გამომდინარეობდა ჩვენი ხალხების ხასიათთა ღრმა ერთიანობიდან, თავისუფლებისადმი, სოციალური სამართლიანობისა და მთელი კაცობრიობისათვის ბედნიერების მისაღწევად ყველა ხალხის მშვიდობიანი კულტურული თანამშრომლობისადმი ჩვენი საერთო სიყვარულიდან.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა

ულან-ბატორი, 6 ივნისი. (საკდესი). დღეს ყველა მონღოლური გაზეთი მიძღვნილია ა. ს პუშკინის დაბადების 150 წლისთავისადმი. გაზეთებში მოთავსებულია დიდი რუსი პოეტის პორტრეტები.

გაზეთი „უნენი" წერს, რომ „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში არ მოიძებნება პოეტი, რომელიც ისე ფართოდ იყოს ცნობილი, თავისი ხალხისათვის ისე მხურვალედ საყვარელი იყოს, როგორც პუშკინი", რომ „პუშკინის ტრადიციები უდიდეს გავლენას ახდენენ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაზე". „პუშკინი, — ნათქვამია შემდეგ სტატიაში, — ყველაზე საყვარელი პოეტი გახდა ჩვენს ქვეყანაშიც; ჩვენმა ხალხმა მხურვალედ შეიყვარა პუშკინი. მისი ნაწარმოებები მასობრივი ტირაჟით ვრცელდება".

გაზეთში დაბეჭდილია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ნაცაგ-დორჯის სტატია. ის აღნიშნავს პუშკინის შემოქმედების უდიდეს ნაყოფიერ გავლენას ახალი მონღოლური რევოლუციური ლიტერატურის განვითარებაზე და მონღოლი მწერლების ზრდაზე. პუშკინის ნაწარმოებებს, ამბობს შემდეგ ავტორი, ძვირფასი წვლილი შეაქვთ საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის ხალხთა ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეში. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, ამბობს იგი, რომ დიდი პოეტი ჩვენი თანამედროვეა.

დღეს სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატულ თეატრში გაიხსნა პუშკინისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა, რომელიც მოაწყო საბჭოთა კავშირთან კულტურული ურთიერთობის მონღოლეთის საზოგადოებამ.

დაიხურა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი პრაღაში

პრაღა, 6 ივნისი. (საკდესი). პრაღაში დამთავრდა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „პრაღის 1949 წლის გაზაფხული". ფესტივალი დიდი მოვლენა იყო ჩეხოსლოვაკიის მუსიკალურ ცხოვრებაში. ჩეხოსლოვაკიის მსახიობებმა მაყურებლებსა და უცხოელ სტუმრებს უჩვენეს თავიანთი ოსტატობა, რომელიც მოწმობს სახალხო დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის ახალ წარმატებებს ხელოვნების დარგში. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების ბევრმა ცნობილმა მუსიკოსმა და მსახიობმა.

გუშინ სმეტანას სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა საბჭოთა ოსტატების საბოლოო კონცერტი. კონცერტმა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ლ. მასლენიკოვამ, გ. ნელეპმა, იგორ ბეზროდნიმ, პ. სერებრიაკოვმა და სხვებმა, განსაკუთრებული წარმატებით ჩაიარა.

როგორც ცნობილია, ფესტივალთან ერთად მოეწყო მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსი იან კუბელიკის პრემიის მისაღებად. გამოცხადებული 5 პრემიიდან 4 მიეკუთვნა საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების წარმომადგენლებს.

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის ბიუროს მიმართვა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოსადმი

პარიზი, 6 ივნისი. (საკდესი). მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის ბიურომ შემდეგი მიმართვა გაუგზავნა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს: „მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის ბიურო 600 მილიონზე მეტი მამაკაცისა და ქალის სახელით, რომელნიც წარმოდგენილი არიან მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესზე, მიესალმება ამჟამად მიმდინარე კონფერენციას, რადგან იგი მიაჩნია ოთხ დიდ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკების განახლებად, სახელმწიფოებისა, რომელთა შეთანხმებაც შეიძლება უდიდესი წვლილი გახდეს მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

ჩვენი ბიურო, როგორც მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის აღმასრულებელი ორგანო, გამოხატავს ხალხთა ნება-სურვილს და მათს იმედს, რომ ომთან დაკავშირებით წარმოშობილი საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტაში შენარჩუნებულ იქნება მეორე მსოფლიო ომის მოკავშირეთა შორის თანამშრომლობის სულისკვეთება.

ყველა ქვეყნის ხალხები კვლავ გულმოდგინედ ადევნებენ თვალყურს ყოველივე იმას, რაც წარმოადგენს საფრთხეს მშვიდობისათვის, აგრეთვე ყოველივე იმას, რაც შეიძლება მშვიდობის შენარჩუნების გარანტია გახდეს.

ბიურო თავის მოვალეობად მიაჩნია გაცნობოთ თქვენ, რომ გერმანიის საკითხზე თქვენი ახლანდელი მოლაპარაკება ხალხთა შეგნებაში აღძრავს უკანასკნელი ომის დროს მათი უდიდესი მსხვერპლისა და ტანჯვის მოგონებას, რომლითაც თვისთავად აიხსნება თქვენს კონფერენციაზე შეთანხმებისადმი მისწრაფება.

მთელი მსოფლიოს მშვიდობის მომხრენი იმედს გამოთქვამენ, რომ პარიზის კონფერენცია ლახვარს ჩასცემს ომის მომხრეთა პროპაგანდას და გერმანიის საკითხზე გადაწყვეტილებას გამოიტანს ჭეშმარიტი დენაციფიკაციისა და დემოკრატიზაციის საფუძველზე. ისინი მოგვაგონებენ, რომ სახელმწიფოთა შორის ყოველგვარი მოლაპარაკება შეიძლება ჭეშმარიტად მშვიდობიანი იყოს მხოლოდ მაშინ, თუ მას მხარს უჭერს და მუდმივი ყურადღებით ეკიდება ხალხი.

ჩვენ საჭიროდ მივგაჩნია გაცნობოთ ეს".

ფინეთის პროფკავშირული დელეგაცია საქართველოში

1-დან 6 ივნისამდე საქართველოში იმყოფებოდა ფინეთის პროფკავშირული დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: იოჰან ალბერტ ალტონენი — მშენებელი მუშა (დელეგაციის ხელმძღვანელი), ვილხო ტურუნენი — ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშა, მარტი კეკონენი — ქაღალდის მრეწველობის მუშა, ხილია პარკონენი — კვების მრეწველობის მუშა ქალი, იურიე სახონენი — შოფერი, აარნე პალომაა — საფეიქრო მრეწველობის მუშა ქალი.

საქართველოში ყოფნის დროს სტუმრები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებს, ცალკეულ საწარმოთა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობას.

დელეგაცია იყო გორში და დაათვალიერა სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა. სტუმრები გაემგზავრნენ საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში. ბორჯომსა და სოხუმში ისინი გაეცნენ პროფკავშირული ჯანმრთელობის კურორტების მუშაობას, აგრეთვე დაათვალიერეს სოხუმის რაიონის მდებარე ილიჩის სახელობის სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობა.

პროფკავშირების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ი. კოჩლამაზაშვილმა დელეგაციის პატივსაცემად გამართა დარბაზობა. დარბაზობას დაესწრნენ თბილისში მყოფი საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ამხ. მ. ტარასოვი, პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრები, პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების თავმჯდომარეები.

6 ივნისს დელეგაცია სოხუმიდან მოსკოვს გაემგზავრა. აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ვ. ტრაპაიძემ და აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელმა პროფკავშირულმა მუშაკებმა. (საქტასი).

გ. ტაბიძის შემოქმედებითი საღამო

ჭიათურა. (საკ. კორ.). სახელმწიფო თეატრში მოეწყო სახალხო პოეტის გ. ტაბიძის შემოქმედებითი საღამო.

საღამოზე გ. ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებებით გამოვიდნენ ა. კურცხალია და ე. გაფრინდაშვილი.

პოეტისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხა ქ. ნეფარიძემ. საღამოს მეორე განყოფილებაში ნაჩვენები იქნა მხატვრული მონტაჟი „გალაქტიონ ტაბიძე".

დასასრულ პოეტმა გ. ტაბიძემ წაიკითხა რამდენიმე ლექსი.

სასამართლო ქრონიკა

„ჩითბეჭვების" შოფერმა მ. გ. პეკოვმა, რომელიც მთვრალი იყო, ბორჯომ-ბაკურიანის გზაზე ავტომანქანის ავარია მოახდინა. დაშავდა რამდენიმე მოქალაქე. ავტოხულიგნის საქმე ქ. ბორჯომში გაარჩია საქართველოს სსრ რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ. პეკოვს მიესაჯა 25 წლის პატიმრობა ქონების კონფისკაციით და 5 წლით ვადით ხმის უფლების ჩამორთმევა.

მოქალაქე გუსოიანის პირადი სარგებლობის ავტომანქანის შოფერმა ფ. ე. კამინსკიმ მანქანა დაავაჯახა მოქალაქეს. შოფერ კამინსკის სასამართლომ მიუსაჯა 10 წლის პატიმრობა.

სამეცნიერო წრეების კონფერენცია

10 ივნისს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული რესპუბლიკური ორწლიანი პარტიული სკოლის კლუბში (ჩიტაძის ქ. № 6) შედგება პარტსკოლის მსმენელთა სამეცნიერო წრეების კონფერენცია.

მოხსენებებს წაიკითხავენ მსმენელები ვ. ნანიტაშვილი „ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საქართველოში (1917-1921 წლები)", ა. ნემსიწვერიძე—„საშუალო პროგრესული ნორმების არსი და მნიშვნელობა მრეწველობაში"; ვ. ცერცვაძე—„კაპიტალიზმის საერთო კრიზისი, მისი გამწვავება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ".

დასწრება თავისუფალია.

კესხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

8 ივნისს, საღამოს 8 საათზე შედგება ამხ. კალანდისა და ნოლიაიანის კონსულტაცია თემაზე: „ვ. ი. ლენინის შრომა „რა ვაკეთოთ?".

პასუხისმგებელი რედაქტორი **გ. ნანიტაშვილი**

თეატრებში

ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის	8-VI 1 აბ. 15 წარმ. „ამაო სიფრთხილე" (1 მოქმ.) ტ. ვეჩესლოვას და ვ. ჭაბუკიანის მონაწ. „ბაღჩისარაის შადრევანი" (II და III მოქმ.) „ესმერალდა" (II მოქმ.) 9-VI „მაზეპა" 4, 5 აბ. 15 წარმ. გ. გოგიჩაძის მონაწილეობით
რუსთაველის სახელობის	8-VI „უჩა უჩარდია" 1 აბ. 10 წარმ. 9-VI „პირველი ნაბიჯი" აბ. გარეშე
მარჯანიშვილის სახელობის	8-VI „რომეო და ჯულიეტა" აბ. გარეშე 9-VI „მოსკოვური ხასიათი" 19, 22 აბ. 9 წარმ.
მუსიკალური კომედიის	8-VI „ნათელა" აბ. გარეშე 9-VI „თბილისის ცის ქვეშ" აბ. გარეშე
მოზარდ მაყურებელთა ქართული	8-VI „80 დღე დედამიწის გარშემო" 21, 85 აბ. 7 საათზე 9-VI „80 დღე დედამიწის გარშემო" 73 აბ. 7 საათზე

ფალიაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

მოსწავლეთათვის 3 უკანასკნელი დილის წარმოდგენები ამ სეზონში

კვირას, 12 ივნისს	ვ. დოლიძე „ქეთო და კოტე"
ხუთშაბათს, 16 ივნისს და კვირას 19 ივნისს	ი. მოროზოვი ბალეტი „ექიმი აიბოლიტი"

დასაწყისი დილის 12 საათზე. ბილეთები წინასწარ იყიდება

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 22 ივნისს, დღის 12 საათზე, აუდიტორია № 86 (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გივი შალვას-ძე კილურაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მაროკოს პრობლემა გერმანიის იმპერიალიზმის პოლიტიკაში (1904-1906 წ. წ.)".**

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი დოქტორი **გ. გოზალიშვილი**, მეცნიერების კანდიდატი დოცენტი **ს. ბოკუჩავა.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომი აცხადებს ყველა სახელმწიფო და კოოპერაციულ დაწესებულებათა საყურადღებოდ, რომ მდინარე მტკვრის და არაგვის რიყის კარიერებიდან ინერტული მასალების მიღება შეიძლება მხოლოდ არტელ „მშენებლის" საშუალებით, რომელიც აწარმოებს კარიერების დამუშავებას. მისამართი: თბილისი, სვერდლოვის ქ. № 2, არტელი „მშენებელი", ანგარიში სავაჭრო ბანკში № 809-23.

1949-50 სასწავლო წელს თბილისის, ქუთაისის და ზუგდიდის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლებში მიღების პირობები

სასწავლებელს აქვს ორი განყოფილება — საკლუბო და საბიბლიოთეკო. საკლუბო განყოფილება ამზადებს კულტურის სახლების, კლუბების, სამკითხველოებისა და კულტურისა და დასვენების პარკების ხელმძღვანელებს და მუშაკებს. საბიბლიოთეკო განყოფილება ამზადებს საბიბლიოთეკო დაწესებულებათა გამგეებსა და ბიბლიოთეკარებს. სასწავლებელი იძლევა საშუალო სპეციალურ განათლებას. სწავლების ხანგრძლივობა 3 წელია.

პირველ კურსზე მიიღებიან 14-დან 30 წლამდე ასაკის მოქალაქენი, რომელთაც დაამთავრეს 8-წლიანი სკოლა (ან 1946 წლამდე 7-წლიანი სკოლა). მოსწავლეები, რომელთაც 8-წლიანი სკოლა დაამთავრეს და აქვთ ყველა საგანში ნიშანი „5", სასწავლებელში მიიღებიან უგამოცდოდ.

კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში შემსვლელნი აბარებენ გამოცდას რვა კლასის პროგრამის მოცულობით ქართულ ენაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენაში (წერა და ზეპირი), მათემატიკაში (წერა და ზეპირი) და სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ზეპირი).

სასწავლებელში მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო წესის თანახმად სტიპენდიით.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას 20 აგვისტომდე დირექტორის სახელზე პირადად ან ფოსტით.

განცხადებას თან უნდა დაერთოს მოწმობა განათლების შესახებ (დედანი), ავტობიოგრაფია (შემსვლელის ხელით დაწერილი), დაბადების მოწმობა (დედანი), სამი ფოტოსურათი, ცნობა სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ და ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

გამოცდები იწარმოებს 15-დან 25 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

სასწავლებლის მისამართი: თბილისი, წილკნის ქ. № 3, ქუთაისი, ტელმანის ქუჩა № 19, ზუგდიდი, რუსთაველის ქ. № 4.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი.

თბილისის სამხატვრო აკადემიის კოლექტივი იუწყება აკადემიის ხატვის კათედრის გამგის პროფესორ ს. ქობულაძის მამის **სოლომონ ქობულაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-VI, 8 ს. დაკრძალვა 11-VI, 5 ს. რუსთაველის პროსპ. 36.

მშობლები თამარ და სოლომონ, და ლამარა მიქატაძეები იუწყებიან, რომ 12-VI, 1 ს. მუხაძეში კვირიკეთის სასაფლაოზე დანიშნულია **ლიანა სოლომონის ასულ მიქატაძის** პანაშვიდი.

თამარ და დიტო ლომთაძეები იუწყებიან, რომ კვირას, 12-VI, 3 საათზე ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია შვილის **ლეილა ლომთაძის** პანაშვიდი.

მეუღლე დარო, შვილები მედეა და მერი, ძმა გიგა, არჩილ კოკილაშვილი ოჯახით, სიძე მირიან ქუთათელაძე იუწყებიან, რომ 9-VI, 4 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ალექსი გრიგოლის-ძე კოკილაშვილის** პანაშვიდი.

კონსტანტინე და თამარ ჭეჭინაძეები იუწყებიან **სოლომონ კაკაბის-ძე ქობულაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-VI, 8 ს. დაკრძალვა 11-VI, 5 ს. რუსთაველის პროსპ., 36.

მშობლები ნინო, ბენია, და ციალა, ბაბუა სამსონ ფირცხალავები იუწყებიან **გურამ ბენიას-ძე ფირცხალავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8-VI, 8 ს. გამოსვენება 9-VI, 6 ს. ვარდისუბნის, 23.

დეიდა ცუცა არონიშიძე, ბიძაშვილები ნორა და ვიქტორ ჭავჭანიძეები, დეიდაშვილი ჯულიეტა მინდელი ოჯახებით იუწყებიან **გურამ ფირცხალავას** გარდაცვალებას.

ნინო, გიორგი, თამარ გვანცელაძეები, ნიკოლოზ, თამარ ბაჩილავები, გიორგი, მარგო ომანიძეები იუწყებიან დოცენტ **ივანე მიხეილის-ძე თვალავაძის** გარდაცვალებას.

ქალაქის I საავადმყოფოს ნერვული განყოფილების და კლინიკის საექიმო პერსონალი იუწყება დოცენტ **ივანე ალექსანდრეს-ძე თვალავაძის** გარდაცვალებას.

რკინიგზის ვაგთა მე-7 სკოლის მე-91 კლასის მოსწავლეები იუწყებიან მასწავლებელ ა. ბითაძის დედის **დაროს** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-VI ხაშურში, რუსთაველის, 53.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი—3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, ხტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 150.000 უე 01891